ავთანდილ ქორიძე

AVTANDIL KORIDZE

მსოფლიო ფრანგიმპვილი

ქართველი ოლიმპიური ჩემპიონები

GEORGIAN OLYMPIC CHAMPIONS

პროექტის ავტორი და მთავარი რედაქტორი
ელგუჯა ბერიშვილი

THE PROJECT AUTHOR AND EDITOR-IN-CHIEF
Elguja Berishvili

პროექტის მენეჯერი
ემზარ ზენაიშვილი

THE PROJECT MANAGER
Emzar Zenaishvili

პროექტის კოორდინატორი
რუსუდან აფციაური

THE PROJECT COORDINATOR
Rusudan Aptsiauri

ტექსტი
გიორგი ფრანგიშვილი

TEXT
Giorgi Prangishvili

დიზაინი
ვახტანგ შატაიძე

DESIGN
Vakhtang Shataidze

რედაქცია
**ავთანდილ გურასაშვილი, ჯემალ კასრაძე, დავით ჭელიძე,
კარლო ფაჩულია, ზაალ ანჯაფარიძე, ინგა ალავიძე,
ნანა ჯოხარიძე, მაია ბერიშვილი, ივანე ბურნაძე**

EDITORIAL STAFF
**Avtandil Gurasashvili, Jemal Kasradze, David Chelidze,
Inga Alavidze, Karlo Pachulia, Zaal Anjaparidze, Nana Jokharidze,
Maia Berishvili, Ivane Burnadze**

ფოტო
**მიხეილ ზარგარიანი, კინოფოტოდოკუმენტების
სახელმწიფო არქივი, www.sportphoto.ge**

PHOTO
**Mikhail Zargaryan, Aleksandre Kotorashvili,
Jemal Kasradze, www.sportphoto.ge**

პარტნიორები
**საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი
საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ოლიმპიური სოლიდარობა
საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაცია**

PARTNERS
**Georgian National Olympic Committee
Olympic Solidarity of the International Olympic Committee
Georgian Wrestling Federation**

ISSN 2233-3096
ISBN 978-9941-0-3437-4

ქართველი ოლიმპიური ჩემპიონები

ავთანდილ ქორიძე

2011

© საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია
© GEORGIAN SPORTS WRITERS ASSOCIATION

ოლიმპიადაზე ყველაფერი ხდება

კლასიკური სტილით მოჭიდავეთა ოლიმპიური ტურნირი დასასრულს უახლოვდებოდა. რომის თაკარა მზის გულზე ტემპერატურა დღისით 40 გრადუსს აღწევდა. მართალია, საღამოსათვის უფრო აგრილდა, მაგრამ „მასენციოს“ ბაზილიკის თაღებქვეშ გაშლილ ხალიჩებზე იმდენად დრამატული ორთაბრძოლები მიმდინარეობდა, რომ ფალავნებს სულის მოთქმის საშუალება არ ჰქონდათ.

31 აგვისტოს აქ ერთდროულად რამდენიმე წონით კატეგორიაში თამაშდებოდა მედლების კომპლექტები. ფინალში ორი ქართველი გავიდა — გივი კარტოზია (87 კგ) და ავთანდილ ქორიძე (67 კგ). ეს იმას ნიშნავდა, რომ ორივე, წესით, რომელიმე სინჯის მედალს უნდა დაუფლებოდა. საბჭოთა ნაკრების მწვრთნელებს უფრო მეტად მსოფლიოს სამგზისა და მელბურნის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონის, კარტოზიასი ეიმედებოდათ, მაგრამ ქორიძის შანსებიც რეალური იყო. მან მთელი ტურნირი კარგად ჩაატარა და ახლაც დამაჯერებლად გამოიყურეოდა, თუმცა ოლიმპიადებზე ყველაფერი ხდება და აკი მოხდა კიდეც. ავთანდილ ქორიძისა და ბულგარელი დიმიტრ სტოიანოვის (იგივე — დიმიტრ იანჩევ სტოიანოვი) ჭიდაობა მსაჯებმა ფარსად ჩათვალეს და ორივე მოხსნეს ასპარეზობიდან.

ჭიდაობის მაშინდელი წესებით, თითოეულ წონით კატეგორიაში ფინალში სამი ათლეტი გადიოდა. სწორედ მათ შორის შეხვედრებში ირკვეოდა საპრიზო სამეულში ვინ რომელ მედალს დაეუფლებოდა. ქართველ და ბულგარელ ფალავნებთან ერთად მსუბუქი წონის ფინალში იუგოსლავიელი ბრანკო მარტინოვიჩიც მოხვდა. ამ სამეულიდან ყველაზე ახალგაზრდა და შესაბამისად გამოუცდელიც ავთანდილ ქორიძე იყო. ის პირველად მონაწილეობდა ამ მასშტაბის ტურნირში. მანამდე არც მსოფლიოს ჩემპიონატებში უასპარეზია, ხოლო ევროპის ჩემპიონატები იმ პერიოდში საერთოდ არ ტარდებოდა.

დიმიტრ სტოიანოვისათვის ეს მეორე ოლიმპიადა იყო. მელბურნში მას სულ ცოტა დააკლდა ბრინჯაომდე და მეოთხე ადგილს დასჯერდა, პირველობა კი ფინელმა კიუესტი ლეჰტონენმა მოიპოვა. ისიც აქ იყო, თუმცა უკვე დაკარგა ჯილდოს დაუფლების შანსი და მაყურებლებში გადაინაცვლა. კიდევ ერთი სკანდინავიელი და ასევე ოლიმპიური ჩემპიონი, გუსტავ ფრეიც შეურიგდა



ბედს. ლონდონის ოლიმპიადისა და ნეაპოლის მსოფლიოს ჩემპიონატის ოქროს მედელების შემდეგ, შვედი უკეთეს შემთხვევაში მეოთხე ადგილს დაიკავებდა.

ავთანდილ ქორიძის მსგავსად, რომში უტიტულოდ ჩავიდა მისი კიდევ ერთი მეტოქე, ბრანკო მარტინოვიჩი, მაგრამ მას ბუდაპეშტის მსოფლიოს ჩემპიონატზე უკვე ნაჭიდავები ჰქონდა. იუგოსლავიელს სხვა საერთაშორისო ტურნირების საკმაოდ სოლიდური გამოცდილებაც უმაგრებდა ზურგს. ასე რომ, სამივე სავსებით სამართლიანად ფიქრობდა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე. არასამართლიანი მხოლოდ მსაჯებისა და ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტის, როჟე კულონის გადაწყვეტილება იყო. მათი აზრით, ბულგარელი „დაუწვა“ ქართველს და ორივე დისკვალიფიკაციას იმსახურებდა...

„რკინის ფრეის“ წინასწარმეტყველება

67 კგ, ანუ მსუბუქი წონითი კატეგორია, რომელშიც ავთანდილ ქორიძე გამოდიოდა, საბჭოთა ნაკრებში „აქილევსის ქუსლად“ ითვლებოდა. ჰელსინკის ოლიმპიურ თამაშებზე შაზამ საფინის გამარჯვების შემდეგ, მსოფლიოს სამი ჩემპიონატი და მელბურნის ოლიმპიადა ისე მიილია, მხოლოდ გრიგორი გამარნიკმა შესძლო კარლსრუეს ხალიჩაზე მსოფლიოს ჩემპიონის ოქროს მედლის მოპოვება. მომდევნო სეზონში, ავსტრალიურ ოლიმპიადაზე, ვლადიმირ როსინმა იმდენად უხეიროდ იჭიდავა, რომ საპრიზო სამეულის მიღმა თანაგუნდელთაგან ერთადერთი ის დარჩა. 1958 წელს ბუდაპეშტში გამართულ მსოფლიოს ბოლო ჩემპიონატზე ნაკრების ხელმძღვანელებმა ამ წონაში ისევ შეცვალეს ფალავანი და უტიტულო ვიქტორ ვასინი დააყენეს, მაგრამ ვერც უკრაინელმა ივარგა.

როსტომ აბაშიძე (მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი): „ბოლო საწვრთნელი შეკრება მოსკოვის მახლობლად, პოდოლსკში გვქონდა. ქართველებიდან ოლიმპიური ნაკრების კანდიდატთა შორის გივი კარტოზიასა და ავთანდილ ქორიძის გარდა, ვიყავით მერაბ ღუდუშაური, ომარ ეგაძე, დავით გვანცელაძე და მე. იმ წელს საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ადრე გაზაფხულზე, თბილისსა და სარატოვში ჩაატარეს. ბუნებრივია, გამარჯვებულები რომის საგზურების მთავარ პრეტენდენტებად მოიაზრებოდნენ. მე მაშინ მეორედ მოვიპოვე ოქროს მე-

დალი. ჩემთან ერთად თბილისის ცირკში მერაბ ღუდუშაური და დავით გვანცელაძეც ჩემპიონები გახდნენ და პოდოლსკში პირველ ნომრებად ითვლებდნენ.

ავთოს წონის ფალავნები პირველობისთვის სარატოვში იბრძოდნენ. ქორიძემ იქ კარგად იჭიდავა, თუმცა მხოლოდ ვერცხლის მედალი ერგო. უძლიერესის ტიტულს მინსკელი ივან კორშუნოვი დაეუფლა, მაგრამ ვინაიდან საბჭოთა ფალავნები მსუბუქ წონაში საერთაშორისო შეჯიბრებებს, როგორც წესი, აგებდნენ, ამიტომ აქ ნაკრების ხელმძღვანელებს უძლიერესის შერჩევა უჭირდათ.

ქორიძე იმ პერიოდისთვის არავითარ ტიტულს არ ფლობდა, საბჭოთა კავშირის ჩემპიონიც კი არ იყო, მაგრამ, სამაგიეროდ, საერთაშორისო ტურნირებში სისტემატურად იმარჯვებდა. ჭიდაობაში, ისევე როგორც სპორტის ბევრ სახეობაში, არიან ათლეტები, რომლებიც სხვადასხვა მიზეზის გამო ქვეყნის შიდა ასპარეზობებში წარმატებებს ვერ აღწევდნენ, სამაგიეროდ, უცხოეთში გამართულ შეჯიბრებებში დამაჯერებლად გამოდიან და ჩემპიონებიც ხდებიან. ასეთი კარიერა ჰქონდა ავთნდილ ქორიძესაც. მე და ავთო თანატოლები ვიყავით. ჭიდაობაც პრაქტიკულად ერთდროულად დავიწყეთ, მე ბათუმში — აკაკი მამისაშვილთან, შემდეგ კი თბილისში, გიორგი როსტიაშვლთან, ხოლო მან დედაქალაქში, პეტრე იორდანიშვილთან. თბილისში ერთად ვვარჯიშობდით პეტრე იორდანიშვილის დარბაზში, რომელსაც მაშინ „პეტრეს ცირკს“ ეძახდნენ. შეჯიბრებებზეც ბევრჯერ ერთად გამოვსულვართ.

ქორიძე უნიკალური ფალავანი იყო, პირველ რიგში თავისი შრომისმოყვარეობით. კუს ტბაზე კროსებზე რომ დავრბოდით, მე ჯერ ასულიც არ ვიყავი, ავთო რომ სირბილით თავქვე ეშვებოდა. ეცინებოდა ხოლმე ჩემს სიზარმაცეზე. კროსი არ მიყვარდა. საბჭოთა ნაკრებში, როგორც წესი, ბოლო მივძუნძულებდი, ჩემ წინ კი დავით გვანცელაძე მირბოდა. ლეიბზე ვარჯიში მეხალისებოდა, იქ ბოლომდე ვიხარჯებოდი, სირბილი კი ჩემი საქმე არ იყო. ჩემგან განსხვავებით, ქორიძე დაუზარელი, ენერგიული იყო და მეტოქეებიც ადვილად ვერ დაღლიდნენ. მას გამარჯვების სხვანაირი ჟინი ჰქონდა. მახსოვს, სტუდენტთა საკავშირო სპარტაკიადაზე ავთომ პირველივე შეხვედრა წააგო და სპეციალისტებმა მაშინვე დაიწყეს ჩურჩული, ამისგან აღარაფერი გამოვაო. მერე რომ დაყვა მეტოქეებს, ყველას ბდღვირი ადინა, ერთი ორთაბრძოლა კი თხუთმეტქულიანი სხვაობით მოიგო. მოჭიდავეები „ვერტუშკას“ ვეძახით

ერთ-ერთ ილეთს, იდეალურად აკეთებდა ამას. ხელი რომ დაგედო კისერზე, უკვე ჰაერში იყავი. ჩოქბჯენშიც ძალიან ძლიერი იყო. პრაქტიკულად, ყველაფერი გამოსდიოდა. საქმეს ყოველთვის სრული სერიოზულობით ეკიდებოდა, პასუხისმგებლობის გრძნობა ჰქონდა, უღალატო კაცი იყო. ერთხელ საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, სადაც მე და ავთო ვსწავლობდით, ფაკულტეტებს შორის პირველობა ტარდებოდა. ქორიძე რომელიღაც შეჯიბრებაზე იყო წასული, მაგრამ სპეციალურად ამ ტურნირისთვის ჩამოვიდა, ვერ ასწრებდა და პირდაპირ სადგურიდან, ჩემოდნიანად მოვიდა დარბაზში. ის სპორტისთვის იყო დაბადებული.

1958 წლის ბოლოს ამხანაგური შეხვედრების ჩასატარებლად თბილისში შვეციის გუნდი ჩამოვიდა. ქართველი და სკანდინავიელი ფალავნების ორთაბრძოლების სანახავად ცირკში უამრავი ხალხი შეიკრიბა, დარბაზი მთლიანად გაივსო. ჭიდაობა იმ პერიოდში ძალიან პოპულარული იყო. მართალია, ფეხბურთს ვერ უტოლდებოდა, მაგრამ ჩვენც მრავალი გულშემატკივარი გვყავდა. ამ შეხვედრამდე რამდენიმე თვით ადრე მე მსოფლიოს ჩემპიონი გავხდი. კლასიკურ და თავისუფალ ჭიდაობაში მანამდე უკვე ფლობდნენ ჩვენი მოჭიდავეები ოლიმპიური თამაშებისა თუ მსოფლიოს ჩემპიონების ტიტულებს. შვედებსაც კარგი ათლეტები ჰყავდათ, მათი ფავორიტი გუსტავ ფრეი კი ჯერ კიდევ 1948 წელს, ლონდონში გახდა ოლიმპიური ჩემპიონი, ხოლო შემდეგ სტოკჰოლმში, ნეაპოლსა და კარლსრუეში დაეუფლა მსოფლიოს ჩემპიონატების ვერცხლის, ოქროსა და ბრინჯაოს მედლებს. იგი გამოცდილი და ფიზიკურად უაღრესად ძლიერი ფალავანი იყო, ამიტომაც მას „რკინის ფრეი“ შეარქვეს. სწორედ ამ კაცთან მოუწია დაჭიდება ავთანდილ ქორიძეს, ამასთან თბილისში, სადაც წაგება თავის მოჭრას ნიშნავდა.

კულისებში აწონვის დროს, შვეციის ნაკრებმა რომ ჩაიარა, ფრეიმ თვალი მოკრა, რომ მისი მეტოქე ახალგაზრდა ფალავანი იყო. სკანდინავიელს გაეღიმა კიდეც ჩვენი ავთოს დანახვაზე, ალბათ იოლ გამარჯვებაზეც გაიფიქრა, მაგრამ მათი შეხვედრის დასაწყისშივე საქმე სხვაგვარად დატრიალდა. მეორე წუთზე ქორიძემ მკერდიდან გადააგდო ფრეი და ხიდზე დააყენა, თუმცა მან ფიზიკური ძალითა და გამოცდილებით, კრიტიკული სიტუაციიდან შეძლო თავის დაძვრენა. ცოტა ხანში იგივე სიტუაცია განმეორდა და ამჯერად შვედი ბეჭებით შეეხო ხალიჩას, მაგრამ სტუმართა არბიტრმა კლინგოვსტრემმა ჯერ

სუფთა გამარჯვება დააფიქსირა, შემდეგ კი შეცვალა თავისივე გადაწყვეტილება. საბოლოოდ ის შეხვედრა ავთომ მაინც დამაჯერებლად მოიგო. თავად მატჩი, ჩვენი ნაკრების დიდი უპირატესობით დასრულდა — 14:2."

თბილისელ ჟურნალისტებთან „რკინის ფრეიმ" განაცხადა: „დიდი ხანია არ შევხვედრივარ ასეთ ძლიერ და საინტერესო მეტოქეს. თუ იგი ასევე იჭიდავებს, მსოფლიოს ჩემპიონი გახდება."

სხვათა შორის, გამოცდილი შვედი მართალი გამოდგა — ავთანდილ ქორიძე მსოფლიოს ჩემპიონი მართლაც გახდა, ოღონდ ეს მოგვიანებით, იაპონურ იოკოჰამაში მოხდა. მანამდე კი მას, ისევე როგორც სსრ კავშირის ნაკრების სხვა კანდიდატებს, რომის ოლიმპიადის საგზური ჰქონდა გასანაღდებელი.

მერაბ ღუდუშაური (საბჭოთა კავშირის ჩემპიონი): „იმ პერიოდში საბჭოთა კავშირის ნაკრებში მოხვედრა ძალიან რთული იყო. მიუხედავად იმისა, რომ ქართველებს ყოველთვის ძლიერი ფალავნები გვყავდა, ქვეყნის მთავარ გუნდში ადგილის დამკვიდრება მაინც გვიჭირდა. მართალია, ცალკეულ წონით კატეგორიებში საკმაოდ სერიოზული მეტოქეები გვყავდა, მაგრამ მაშინ სხვა რაღაცეებსაც აქცევდნენ ყურადღებას, რაზედაც ხმამაღლა არ ლაპარაკობდნენ, თუმცა ჩვენ ყველაფერი ვიცოდით.

იმ სეზონის დასაწყისში, თბილისის ცირკში გამართულ საკავშირო ჩემპიონატში, ქვემსუბუქ წონაში მე გავიმარჯვე, ქვესაშუალოში — დავით გვანცელაძემ. მაშინ კონსტანტინე ვირუპაევიც დავამარცხე და ვლადიმირ სტაშკევიჩიც. კარგ ფორმაში ვიყავი, ეჭვიც არავის შეპარვია ჩემს უპირატესობაში. ორივე ძლიერი და ტიტულიანი მეტოქე იყო. ვირუპაევს მელბურნის ოლიმპიადა ჰქონდა მოგებული, ოღონდ ქვემჩატე წონით კატეგორიაში, ხოლო სტაშკევიჩი იმავე წონაში მსოფლიოს თასსა და ჩემპიონის ტიტულს ფლობდა. ორივეზე გაცილებით ახალგაზრდა და ნაკლებად გამოცდილი ვიყავი, თუმცა მაინც დამაჯერებლად ვაჯობე მათ.

პოდოლსკში, ბოლო საწვრთნელ შეკრებაზეც რამდენიმე საკონტროლო შეხვედრა მოგვიწყეს, კვლავ გავიმარჯვე. თითქოს გადაწყდა ყველაფერი და სპორტული ფორმებიც შეგვიკერეს, მაგრამ პრაქტიკულად უკანასკნელ მომენტში ისევ შეიცვალა ყველაფერი. მეც და გვანცელაძეც ამოგვაგდეს გუნდიდან, ხოლო როსტომ აბაშიძე სათადარიგოდ წაიყვანეს. ქართველებიდან ძირითად შემადგენლობაში მოხვდნენ ავთანდილ ქორიძე და გივი კარტოზია.



ავთანდილ ქორიძისა (მარცხნივ) და მელბურნის ოლიმპიადის ჩემპიონის კიუესტი ლეჰტონენის (ფინეთი) შეხვედრა რომის ოლიმპიურ თამაშებზე. 1960 წელი

ქართველები და იმრე პოიაკი

უნგრელი იმრე პოიაკი გასული საუკუნის 50-60-იანი წლებში მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი მოჭიდავე იყო. მან ცხრაჯერ იასპარეზა მსოფლიოს ჩემპიონატებსა თუ ოლიმპიურ თამაშებში და არც ერთხელ უმედლოდ არ დარჩენილა, თუმცა იღბალი უფრო მსოფლიოს ჩემპიონატებზე წყალობდა, სადაც სამი ოქროს ჯილდო დაიმსახურა. კარლსრუესა და ბუდაპეშტში ქვემსუბუქ წონაში გამოდიოდა და ზედიზედ ორჯერ გაიმარჯვა, მაგრამ შემდეგ წონაში მოიმატა და იოკოჰამაში გამართულ მომდევნო მსოფლიოს ჩემპიონატზე ჩვენს ავთანდილ ქორიძესთან მოუხდა პირველობის დათმობა, ხოლო ამერიკულ ტოლიდოში ისევ თავის წონით კატეგორიას რომ დაუბრუნდა, კვლავ კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა. იმ პერიოდის უდიდესი ფალავანი ოლიმპიური ჩემპიონის ტიტულს დიდხანს ვერ ეღირსა. ზედიზედ სამჯერ — 1952, 1956 და 1960 წლებში ვერცხლის მედალი აიღო, 1964 წელს კი, როგორც იქნა, ოლიმპიური ჩემპიონი გახდა, როცა ფინალში ერთობ საეჭვო ფრეს მიაღწია რომან რურუასთან ბრძოლაში. იმ პერიოდში ვიდეოკამერები ჯერ კიდევ არ არსებობდა, მაგრამ მასპინძლებმა კინოფირზე გადაიღეს რურუას და პოიაკის ორთაბრძოლა. ერთი თვის შემდეგ ლოზანაში, ფილა-ს შტაბ-ბინაში, სპეციალისტებმა საგანგებოდ გაარჩიეს მსაჯის შეცდომები და აღიარეს, რომ გამარჯვება ქართველ ფალავანს ეკუთვნოდა.

უფრო ადრე, 1956 წლის ოლიმპიადაზე პოიაკი კიდევ ერთ ქართველს — რომან ძნელაძეს ეჭიდავა და ქულებით აჯობა. ქართველების და იმრე პოიაკის ურთიერთობა მოგვიანებით ავთანდილ ქორიძემ გააგრძელა. 1959 წლის აგვისტოში იუგოსლავიის ქალაქ სპლიტში „ადრიატიკის თასის“ გათამაშება შედგა, სადაც მსუბუქ წონით კატეგორიაში ფავორიტი კვლავ ტიტულიანი უნგრელი იყო, თუმცა ქორიძესთან მან ვერაფერი გააწყო და სოლიდური სხვაობით დამარცხდა. პოიაკთან ერთად, ჩვენმა ფალავანმა იქ კიდევ ერთ მსოფლიოს ჩემპიონს, თურქ რეზა დოგანს სძლია და პირველობა მოიპოვა. ავთანდილ ქორიძემ მოგვიანებით იოკოჰამას მსოფლიოს ჩემპიონატშიც გაიმარჯვა, პოიაკს კი ვერცხლის ჯილდო ერგო, თუმცა ქართველს და უნგრელს იაპონიაში ერთმანეთთან არ უჭიდავიათ.

რომან რურუა (მსოფლიოს ოთხგზის და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი): „იმრე პოიაკი გასული საუკუნის უდიდესი მოჭიდავე იყო. ქართველებსაც კი არავინ არა გვყავს ოთხი ოლიმპიური მედლის მფლობელი ფალავანი, მაგრამ ტოკიოს თამაშებამდე ოქროს ვერა და ვერ დაეუფლა. სხვებიც არიან ასეთი ბედის ათლეტები. მაგალითად, მოსკოველი ვიქტორ იგუმენოვი ხუთჯერ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი, მაგრამ მეხიკოს და მიუნხენის ოლიმპიურ თამაშებზე იმდენად ცუდად გამოვიდა, რომ სადღაც, მეორე ათეულში ჩარჩა.

დღევანდელი გადასახედიდან ჩემთვის სავსებით გასაგებია, რომ მსაჯები პოიაკს თანაუგრძნობდნენ, მისთვის ეს იყო ბოლო გამოსვლა საჭიდაო ხალიჩაზე, მაგრამ ობიექტურად გამარჯვება მე მეკუთვნოდა. ახალგაზრდაც ვიყავი და ძალიან კარგად მომზადებულიც, სხვაგვარად ვერც მოვხვდებოდი საბჭოთა ნაკრების შემადგენლობაში. ჩემს წონაში ქვეყნის მთავარ გუნდში ადგილის დასამკვიდრებლად მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონები — ოლეგ კარავაევი, იური გრიგორიევი, გენადი საპუნოვი, კონსტანტინე ვირუპაევი და ვლადიმირ სტაშკევიჩი იბრძოდნენ. ასეთი კონკურენცია არც ერთ ქვეყანაში არასოდეს არ ყოფილა.

ავთანდილ ქორიძესაც ძლიერი მეტოქეები ჰყავდა, მაგრამ ის საერთაშორისო სარბიელზე ყოველთვის ჯობდა სხვებს. ამიტომაც იყო, რომ იოკოჰამას მსოფლიოს ჩემპიონატსა და რომის ოლიმპიურ თამაშებზე სწორედ ავთოს ენდნენ საბჭოთა ნაკრების ხელმძღვანელები. პეტრე იორდანიშვილის დარბაზში მე ქორიძესთან ერთად რამდენიმე წელი ვვარჯიშობდი და კარგად ვიცი, რა დონის მოჭიდავე იყო, სპარინგებიც ხშირად გვქონია. ფიზიკურად ძლიერი ათლეტი იყო, მიჭირდა მასთან პაექრობა. უნიკალური გდება ჰქონდა. მსგავსი არსად მინახავს. მკერდზე მიიკრავდა მეტოქეს, უკან გადაიზნიქებოდა და როდესაც მტკაველიღა რჩებოდა ხალიჩამდე და თითქოს თავად უნდა შეხებოდა მას ბეჭებით, ბოლო მომენტში, რაღაც საოცარი მოძრაობით უეცრად ამოტრიალდებოდა და მოწინააღმდეგეს ზევიდან მოექცეოდა.

ავთოს გარდა ასეთ გდებას ვერავინ ვერ აკეთებდა, მათ შორის — მეც. ამისთვის, როგორც ჩანს, სხვანაირი მოქნილობაა საჭირო. ასევე უნაკლოდ გამოსდიოდა სუფლექსი, ნახევარსუფლექსი და „ვერტუშკა“. ის ყველასგან განსხვავებული ფალავანი იყო. სხვათა შორის, ქართველებს ვინცა გვყავს მსოფლიოსა თუ ოლიმპიური ჩემპიონები, არც ერთი არა ჰგავს ერთმანეთს: გივი

ვახტანგ ბალავაძე, მერაბ ღუდუშაური, ვლადიმერ რუბაშვილი, გურამ გობეჯიშვილი და ავთანდილ ქორიძე. ვლადივოსტოკი, 1961 წელი

საქართველოს ჭაბუკ მოჭიდავეთა ნაკრები. მარჯვნიდან მეოთხე — ავთანდილ ქორიძე. ივანოვო, 1952 წელი

როსტომ აბაშიძე:
„ქორიძე უნიკალური ფალავანი იყო, პირველ რიგში თავისი შრომისმოყვარეობით. კუს ტბაზე კროსებზე რომ დავრბოდით, მე ჯერ ასულიც არ ვიყავი, ავთო რომ სირბილით თავქვე ეშვებოდა. ეცინებოდა ხოლმე ჩემს სიზარმაცეზე. კროსი არ მიყვარდა. საბჭოთა ნაკრებში, როგორც წესი, ბოლო მივძუნძულებდი, ჩემს წინ კი დავით გვანცელაძე მირბოდა. ლეიბზე ვარჯიში მეხალისებოდა, იქ ბოლომდე ვიხარჯებოდი, სირბილი კი ჩემი საქმე არ იყო. ჩემგან განსხვავებით, ქორიძე დაუზარელი, ენერგიული იყო და მეტოქეებიც ადვილად ვერ დაღლიდნენ. მას გამარჯვების სხვანაირი ჟინი ჰქონდა.“

კარტოზიაც, დავით ციმაკურიძეც, ვახტანგ ბალავაძეც, როსტომ აბაშიძეც სრულიად სხვადასხვა სტილის მოჭიდავეები იყვნენ. ქორიძეც ტიპიური ქართველი იყო. თავიდანვე უტევდა მეტოქეებს, ბოლომდე აწვებოდა და ვიდრე სუნთქვა ყოფნიდა, არ მოეშვებოდა. თითქოს თავისთვის ბუზღუნებსო, უცნაურ ხმებს გამოსცემდა, რის გამოც მეგობრებმა „ჯუჯღუნა“ შეარქვეს. ავთო ქორიძე უნიკალური ფალავანი იყო. მის ასპარეზობას რომ უყურებდი, ხალიჩაზე ჭიდაობის შედეგრით ტკბებოდი. მე ვიცოდი, რომ ავთომ და პოიაკმა ორ ტურნირში ერთად იჭიდავეს — „ადრიატიკის თასის“ გათამაშებაზე და იოკოჰამას მსოფლიოს ჩემპიონატებზე და ორივეში ქორიძემ მოიპოვა პირველობა. ასე, რომ მეც მქონდა პოიაკთან გამარჯვების იმედი. აკი ასეც მოხდა, მაგრამ მსაჯებმა სხვაგვარად გადაწყვიტეს.“

დებიუტანტის გაკვეთილი

ავთანდილ ქორიძე საბჭოთა კავშირის ჩემპიონატზე პირველად 1955 წელს გამოჩნდა, თუმცა დებიუტი უიღბლო გამოდგა: საპრიზო სამეულსაც ვერ მიუახლოვდა. ამის მიუხედავად, ოცი წლის ახალგაზრდამ რამდენიმე გამოცდილ მეტოქეს დაამახსოვრა თავი, ყველაზე მეტად კი — ოლიმპიურ ჩემპიონს, იაკობ პუნკინს.

ზაპოროჟიელი მოჭიდავე, ჰელსინკის თამაშების გარდა, საბჭოთა კავშირის ჩემპიონატების ოთხ ოქროს მედალსაც ფლობდა. სარატოვის ხალიჩაზე, პირველ წრეში პუნკინი ქორიძეს ხვდებოდა და, წესით, ქართველის „ნათლიაც“ ის უნდა ყოფილიყო, მაგრამ პირიქით მოხდა — ქორიძემ თავად ჩაუტარა გაკვეთილი.

უკრაინელი საოცრად სწრაფი იყო. დგომში მისი მჯობნი ძნელად თუ მოიძებნებოდა. იგი არც მეტოქის ჩავლებას გაურბოდა. რამდენიმე წუთი თანაბარი ბრძოლა მიმდინარეობდა, უკან არც ერთი არ იხევდა. შემდეგ ქორიძე გააქტიურდა, გაზნექით გდება მოინდომა, მაგრამ ოლიმპიური ჩემპიონი ხალიჩიდან გაექცა. ჩოქბჯენში ზემოდან პირველი უკრაინელი ჭიდაობდა, თუმცა ვერაფერს გახდა, ხოლო როდესაც ქართველის ჯერი დადგა, ადვილად მოწყვიტა პუნკინი ხალიჩას, დაატრიალა და ორი ქულაც აართვა.

ავთანდილ ქორიძის ეს გამარჯვება სარატოვში გამართული საკავშირო ჩემპიონატის მთავარ სენსაციად იქცა, იაკობ პუნკინი კი მოგვიანებით იხსენებდა: „გაგიკვირდებათ, მაგრამ მაშინ სწორედ ქორიძის წყალობით მეხუთედ გავხდი საბჭოთა კავშირის ჩემპიონი. მასთან მარცხით გამწარებულმა, ყველა დანარჩენი შეხვედრა მოვიგე, ხოლო საკავშირო ნაკრების მწვრთნელებს ვუთხარი, ეს ბიჭი შორს წავა-მეთქი."

იაკობ პუნკინის პროგნოზიც სავსებით მართებული გამოდგა.

1957 წლის გაზაფხულზე, საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრის ჩასატარებლად მოსკოვში ჩამოვიდა ფინეთის გუნდი. კლასიკური სტილით მოჭიდავე სკანდინავიელი ფალავნები, იმხანად, მსოფლიო არენაზე კარგი ავტორიტეტით სარგებლობდნენ. კარლსრუეს მსოფლიოს ჩემპიონატზე მათ გუნდური მეოთხე ადგილი დაიკავეს, ხოლო მელბურნის ოლიმპიადაზე წინ მხოლოდ საბჭოელები და შვედები გაუშვეს.

ავთანდილ ქორიძე ქვეყნის მთავარ ნაკრებში პირველად სწორედ ფინელებთან აჭიდავეს. მსუბუქ წონაში მისი მეტოქე იყო ფინეთის ჩემპიონი ერმო ვიაჰასეირენი. გასაკვირი არ არის, რომ დებიუტანტი ფრთხილობდა, რადგანაც ამ ორთაბრძოლაზე ბევრად იყო დამოკიდებული მისი სანაკრებო კარიერა. არც მოსკოვის სპორტის სასახლის სავსე ტრიბუნების წინ ივარგებდა თავის შერცხვენა, მაგრამ ვიაჰასეირენი საკმაოდ ძლიერი მეტოქე აღმოჩნდა. პირველი ექვსი წუთის განმავლობაში დგომში ვერცერთმა ვერ შესძლო ქულის აღება, ჩოქბჯენში კი ქორიძემ რამდენიმეჯერ ლამაზი ილეთებით დაატრიალა ფინელთა ჩემპიონი და საბოლოოდ სოლიდური უპირატესობით გაიმარჯვა.

ავთანდილ ქორიძემ ასევე ჩინებულად იჭიდავა თავის მომდევნო საერთაშორისო ტურნირზე — მოსკოვის მესამე საერთაშიროსო მეგობრულ სპორტულ თამაშებზე, რომელიც რამდენიმე თვის შემდეგ, აგვისტოში გაიმართა. ამ კომპლექსურ შეჯიბრებაში სსრ კავშირის, იტალიის, ავსტრიის, გდრ-ის, უნგრეთისა და სხვა ქვეყნების უძლიერესი ათლეტები მონაწილეობდნენ. სოლიდური შემადგენლობა შეიკრიბა მოჭიდავეთა ტურნირებზეც, თუმცა ქართველ ფალავნებს — ავთანდილ ქორიძესა და როსტომ აბაშიძეს პირველობის მოპოვება არ გასჭირვებიათ. ქორიძე ექვსჯერ გამოვიდა ხალიჩაზე და მხოლოდ ორგზის ოლიმპიურმა პრიზიორმა, უნგრელმა დიულა ტოტმა მოახერხა მასთან შეხვედრის ფრედ დამთავრება. ავთანდილმა ორი ორთაბრძოლა წმინდად მოი-

გო, ორიც — ქულებით, ფინალში კი დამაჯერებლად სძლია ბულგარელ ათანას არგარინოვს. არანაკლებ შთამბეჭდავად გაიმარჯვა როსტომ აბაშიძემაც, რომელმაც ფინალში სულ რაღაც 30 წამში ბეჭებზე გააკრა რუმინელი პოპოვიჩი. ეს ამ თამაშების რეკორდი იყო. სხვათა შორის, ერთი წლის შემდეგ აბაშიძემ და პოპოვიჩმა ერთად იასპარეზეს ბუდაპეშტის მსოფლიოს ჩემპიონატზე. რუმინელმა იქ მეოთხე ადგილი დაიკავა, ქართველი ფალავანი კი მსოფლიოს ჩემპიონის პირველ ტიტულს დაეუფლა.

1950-იანი წლების მიწურულს საბჭოთა ნაკრებში თაობათა ცვლა დაიწყო. მოსკოვში მოპოვებული გამარჯვებების შემდეგ, ქვეყნის მთავარ გუნდში დაიმკვიდრეს ადგილი ავთანდილ ქორიძემ და როსტომ აბაშიძემ. მოგვიანებით მათ ომარ ეგაძე და რომან რურუაც შეუერთდნენ.

ომარ ეგაძე (მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი): „ჭიდაობაში, ისევე როგორც სპორტის ნებისმიერ სახეობაში, ბედიც გჭირდება კაცს. ვერ ვიტყვი, რომ ავთანდილ ქორიძეს, ამ მხრივ, გაუმართლა. რასაც მან მიაღწია, ყველაფერი თავისი ტალანტითა და ოფლით შეძლო. თავდაუზოგავად ვარჯიშობდა, რეჟიმს არ არღვევდა, ყოველთვის მოწესრიგებული იყო.

ჩვენ ერთად ვვარჯიშობდით. იმხანად მოჭიდავეებს პრაქტიკულად მხოლოდ ორჯონიკიძის ქუჩაზე მდებარე სავარჯიშო დარბაზი გვქონდა. კლასიკური და თავისუფალი სტილის ფალავნებს მორიგეობით, კვირაში სამ-სამი დღე შეგვეძლო წვრთნა. ილეთებს ლეიბზე ვამუშავებდით, საერთო ფიზიკურ მომზადებაში კალათბურთი, ფეხბურთი და ძალოსნობა შედიოდა.

ავთო ჩემზე მძიმე იყო, თუმცა ერთმანეთთან სპარინგები ორივესთვის საინტერესო და სასარგებლო გამოგვდიოდა. ფიზიკური ძალის გარდა, იგი არც ტექნიკის უკმარისობას უჩიოდა. მე ბევრი რამ ვისწავლე მისგან. ერთ რამეში ქორიძეს მაინც გაუმართლა — იგი თავიდანვე პეტრე იორდანიშვილთან მოხვდა. ბატონი პეტრე დიდი მწვრთნელი იყო, სწორედ მისი შეგირდები იყვნენ დავით ციმაკურიძე, ვასილ ილურიძე, რომან ძნელაძე, დავით გვანცელაძე. იორდანიშვილს ჭიდაობა კარგად ესმოდა, მცოდნე, ტაქტიანი მწვრთნელი იყო. გამორჩეულად ნიჭიერი ჭაბუკები თავის ჯგუფში მიჰყავდა და ბოლომდე მუშაობდა მათთან.

1957 წელს მოსკოვში გამართულ საერთაშორისო შეხვედრებში დამაჯერებელი გამარჯვებების შემდეგ ავთანდილ ქორიძეს არკადი ლენცმაც მიაქცია ყურადღება. საკავშირო ნაკრების მწვრთნელებიდან პირველმა მან შენიშ-



ავთანდილ ქორიძეს მხოლოდ ორჯერ მიეცა დიდი ტიტულის მოპოვების შანსი და ორივეჯერ მიაღწია მიზანს, თანაც ისე, რომ შეხვედრა არ წაუგია. რომის ოლიმპიურ თამაშებზეც და იოკოჰამის მსოფლიოს ჩემპიონატზეც მან მხოლოდ ერთი შეხვედრა დაასრულა ფრედ ფინელთა ოლიმპიურ ჩემპიონ, კიოესტი ლეჰტონენთან, დანარჩენებში კი დამაჯერებლად იმარჯვა. ასეთი შედეგი მსოფლიოს უდიდეს ფალავნებსაც იშვიათად თუ ჰქონიათ.

ნა, რომ ავთო საერთაშორისო შეხვედრებს ძალიან ძლიერად ატარებდა. ეს გამორჩეული უნარია. ჩვენს წინა თაობაში, მაგალითად, უკრაინელებს ჰყავდათ საოცარი ბიოგრაფიის მქონე ფალავანი, არმენაკ იალტირიანი. რვაჯერ გახდა ეს კაცი საბჭოთა კავშირის ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში, კლასიკურში კი ექვსი ოქროს მედალი მოიპოვა, თუმცა საერთაშორისო არენაზე მხოლოდ ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის ჯილდოს შეწვდა. ავთანდილ ქორიძე სწორედ უცხოელებთან ჭიდაობდა განსაკუთრებულად წარმატებით."

ლუქსემბურგელი თარჯიმანი

თაობათა ცვლა ყოველთვის გარკვეულ რისკთან არის დაკავშირებული. ერთის მხრივ, ძალიან მნიშვნელოვანია ტიტულიანი ფალავნების გამოცდილება და ავტორიტეტი, ამავე დროს ასევე მნიშვნელოვანია ნიჭიერი ახალგაზრდების დაწინაურება და დიდ სარბიელზე მათი გამოყვანა. ეს არის ფაქიზი პროცესი, რადგანაც სხვადასხვა თაობის მოჭიდავეების დაპირისპირებამ შეიძლება ცუდი შედეგი გამოიღოს.

მერაბ ღუდუშაური: „ჩვენი მფარველი იყო გივი კარტოზია. მოსკოვში თუ სხვაგან, ხანგრძლივი შეკრებების დროს, მასთან ხშირად ჩამოდიოდნენ მეგობრები, რომლებსაც ხილი და სხვადასხვა პროდუქტი ჩამოჰქონდათ. ბატონი გივი თბილისურ ძღვენს ყველას დაგვირიგებდა, უყურადღებოდ არავის დაგვტოვებდა. ერთმანეთზე ზრუნვა-პატრონობა, ავადმყოფობის დროს მოვლა ჩვენს უმთავრეს მოვალეობად მიგვაჩნდა, სისხლში გვქონდა გამჯდარი. რომის ოლიმპიადის წინ, პოდოლსკში საკონტროლო შეხვედრები რომ მოგვიწყეს, ქვემძიმე წონაში ნაკრების ხელმძღვანელებს არჩევანი უნდა გაეკეთებინათ გივი კარტოზიასა და როსტომ აბაშიძეს შორის. ისინი ერთმანეთს სამჯერ დააჭიდეს, დარბაზი ზანზარებდა, ვერც ერთმა ვერ გაიმარჯვა. სამივე შეხვედრა ფრედ დამთავრდა. საბოლოოდ, რომში კარტოზია წაიყვანეს, მაგრამ ამის მიუხედავად, გივი და როსტომი ბოლომდე მეგობრებად დარჩნენ. მოგვიანებით, ჩემს წონაში რომან რურუა რომ გამოჩნდა, საქართველოს ნაკრების მწვრთნელებს თავად მე ვუთხარი: დამანებეთ თავი, აგერ ბრწყინვალე ახალგაზრდა გვყავს, შეიყვანეთ გუნდში და ის აჭიდავეთ-მეთქი. 1961 წლის შემოდგომა იდგა. მაშინ რომანმა ქუ-

თაისში გამართულ საკავშირო ჩემპიონატზე მეექვსე ადგილი დაიკავა, დეკემბერში კი სსრკ-ის გუნდური ჩემპიონატი თბილისში ჩატარდა, სადაც ბრინჯაოს ჯილდო დაიმსახურა. დღეს რომან რურუა ერთ-ერთი ყველაზე ტიტულიანი ქართველი ფალავანია; ოთხჯერ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი, ხოლო ტოკიოს ვერცხლის შემდეგ, მეხიკოში მოიპოვა ოლიმპიური ოქროს მედალი.

გამორჩეული მეგობრობა იცოდა ავთანდილ ქორიძემაც. 1957 წელს, ახალგაზრდობის III საერთაშორისო სპორტული თამაშების წინ, ქორიძისა და აბაშიძის გარდა, მოსკოვში სხვა ქართველი მოჭიდავეებიც ვიყავით შეკრებაზე. სპარინგში ვეხმარებოდით სსრკ-ის ნაკრების პირველ ნომრებს, მაგრამ შეჯიბრების დაწყების წინ, ვინც გუნდში ვერ მოხვდა, ყველანი გამოგვიშვეს სახლში, ზედმეტი თანხის დახარჯვას მოერიდნენ. არადა, ძალიან გვინდოდა შეჯიბრების ნახვა, სასტუმროსთვის კი ფული არ გვქონდა. ავთომ მე და ჯემალ შენგელია თავის ნომერში დაგვტოვა. ის და როსტომი თავიანთ კვების ტალონებს გვიყოფდნენ — ჩვენ მაინც წონაში უნდა დავიკლოთო.

მახსენდება იოკოჰამას 1961 წლის მსოფლიოს ჩემპიონატისთვის ბოლო მოსამზადებელი ეტაპი, რომელიც ვლადივოსტოკში გვქონდა. მაშინ ოლიმპიურ ჩემპიონს, კონსტანტინე ვირუპაევსაც მოვუგე და მსოფლიოს ჩემპიონ ვლადიმირ სტაშკევიჩსაც. იაპონიაში გამგზავრების უფლებაც დამსახურებულად მოვიპოვე, მაგრამ ზედმეტი წონა მქონდა და მსოფლიოს ჩემპიონატზე ჩემი გამოსვლა კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა. ავთო ნერვიულობდა, ძალიან უნდოდა, რომ გუნდში შემენარჩუნებინა ადგილი. ჩემთან ერთად ვარჯიშობდა, ზედმეტს დარბოდა, მეც მაიძულებდა, რომ ბოლომდე დავხარჯულიყავი. მანამ არ მომეშვა, ვიდრე წონაში არ „ჩავჯექი“ და იოკოჰომაში არ გავემგზავრე.

ჩვენ წლების განმავლობაში ვმეგობრობდით, ერთად ვვარჯიშობდით, შეკრებებზე თუ ტურნირებზე ერთად ვიყავით. მე ქვემსუბუქში ვჭიდაობდი, ის კი მსუბუქში. მეტოქის გდების დახურვა როგორღაც ადვილად გამომდიოდა, ამიტომაც ავთოს ჩემთან წვრთნა მოსწონდა. ერთმანეთისგან ვსწავლობდით. საოცარი შრომისუნარიანობით გამოირჩეოდა, ერთი და იგივე ილეთს ასჯერ გაიმეორებდა. ვიდრე გაოფლიანებულ სპორტულ ფორმას ორჯერ-სამჯერ არ გამოიცვლიდა, არ მოეშვებოდა. სხვათა შორის, ერთი საინტერესო ილეთი იაკობ პუნკინისაგან ავითვისეთ, ნახევარსუფლექსიდან გდებას ვეძახით. იმდენად კარგად დაეუფლა, პრაქტიკულად ყოველთვის წარმატებით იყენებდა მას.

კიდევ ერთი გამორჩეული თვისება ჰქონდა ავთანდილ ქორიძეს — სიყვარულის ნიჭით იყო დაჯილდოებული, თავის მეუღლეს და დებს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა. საბჭოთა კავშირში ბევრი რამ არ იშოვებოდა და ყველანი ვცდილობდით ახლობლებისთვის უცხოეთიდან მცირე საჩუქარი მაინც ჩამოგვეტანა. იმ პერიოდში სპორტსმენებს კაპიკებს გვაძლევდნენ. ამის გამო, რა დასამალია და, ზოგს გასაყიდად ჩამოჰქონდა იქაური აუდიოაპარატურა თუ სხვა ნივთები. ავთოს მსგავსი რამ არასოდროს არ გაუკეთებია, თუმცა ოჯახის წევრებისათვის სუვენირის წამოღებას მაინც ახერხებდა.

ერთხელ სსრ კავშირის ნაკრები დასავლეთ გერმანიაში მიგვიწვიეს ტურნირზე, რამდენიმე ქალაქში ვიყავით. მიუნხენში ფოლკსვაგენის ფირმის წარმომადგენლები დაგვხვდნენ, ისინი გვმასპინძლობდნენ. დელეგაციის თოთხმეტი წევრისათვის 14 ათასი მარკა გადმოგვცეს. როგორც გუნდის კაპიტანს, არკადი ლენცმა თანხა მე ჩამაბარა. ავტობუსში რომ ავდიოდით, დავით გვანცელაძემ გადმომილაპარაკა: „ხედავ, ეს ოხრები, რა კარგად ცხოვრობენ?!“

მოგვიტრიალდა თარჯიმანი და სუფთა ქართულით გვითხრა:

— ადით, ადით, აქ ყველა კარგად ცხოვრობსო.

დათოც, ავთოც და მეც შევცბით, მან კი გააგრძელა:

— ნუ გეშინიათ, მე ლუქსემბურგიდან (ამჟამინდელი ქალაქი ბოლნისი. 1921-43 წლებში ბოლნისს ლუქსემბურგი ერქვა— გ. ფ.) ვარ, მეც და ჩემმა მეუღლემაც თბილისის პირველი გიმნაზია დავამთავრეთ.

მეორე მსოფლიო ომის დროს წასულან საქართველოდან. გვარი აღარ მახსოვს, თუმცა ემიგრანტების ვინაობის დამახსოვრება მაშინ მთლად უხიფათო არც იყო.

კარგი კაცი გამოდგა, ქართველები ვახშამზეც დაგვპატიჟა. ჩვენ თანმხლებ უშიშროების წარმომადგენლებს მოვერიდეთ, არკადი ლენცმა მოაგვარა ეს საკითხი და ისიც ჩვენთან ერთად წამოვიდა ვახშამზე.

ჩემპიონი შენ გახლეგი

რომის ოლიმპიურ თამაშებზე მოჭიდავეთა ტურნირი 1960 წლის 26 აგვისტოს დაიწყო. თავდაპირველად მედლებისათვის ბროძლაში „კლასიკოსები“ ჩაებნენ. თავისუფალი სტილის ფალავნები კი მერე უნდა გამოსულიყვნენ. ორივე

გუნდის შემადგენლობაში, „მასენციოს“ ბაზილიკის თაღებქვეშ, ქართველთაგან ხუთ ათლეტს ჰქონდა ოლიმპიური ჯილდოს დაუფლების შანსი: ანტიკოსთაგან — ავთანდილ ქორიძესა და გივი კარტოზიას, ხოლო თავისუფალ ჭიდაობაში — ვლადიმერ რუბაშვილს, ვახტანგ ბალავაძეს და გიორგი სხირტლაძეს.

მელბურნის ოლიმპიური თამაშების შემდეგ ჭიდაობის წესები მნიშვნელოვნად შეიცვალა. განახლებული სისტემით ოლიმპიური ტურნირი პირველად ეწყობოდა. სუფთად მოგების შემთხვევაში, მონაწილეებს საჯარიმო ქულები არ დაერიცხებოდათ. ქულებით გამარჯვებისას ერთ საჯარიმოს მიიღებდნენ, ქულებით მარცხისთვის სამი საჯარიმო ქულა დააწესეს, სუფთად წაგებისას კი სპორტსმენი ოთხი ქულით ჯარიმდებოდა. რაც მთავარია, ამიერიდან დასაშვები იყო შეხვედრის ფრედ დასრულება, რისთვისაც მეტოქეებს ორ-ორი ქულით „დაასაჩუქრებდნენ“, ხოლო ვისაც ფინალამდე ექვსი საჯარიმო დაუგროვდებოდა, ტურნირს ეთიშებოდა. ახალ წესებს სერიოზული გავლენის მოხდენა შეეძლო შეჯიბრებების მსვლელობაში, რაც შემდგომში დადასტურდა კიდეც. ამიტომ ყველა ცდილობდა უჯარიმოდ დაემთავრებინა შეხვედრები, თუმცა ეს არც ისე ადვილი იყო.

პირველ წრეში ავთანდილ ქორიძეს მეტოქედ იტალიელი მარიო დე სილვა ერგო. მანამდე იგი დიდი შეჯიბრების პრიზიორი არ ყოფილა, მაგრამ ტიტულებით ვერც ქართველი ფალავნი დაიკვეხნიდა. მასპინძლებს ბუნებრივია თავიანთი ფალავნის ეიმედებოდათ და მხურვალედაც ქომაგობდნენ მას. თითქმის ორმოცგრადუსიან სიცხეში ორივეს უჭირდა ჭიდაობა, გახვითქულებს ხელი უსხლტებოდათ. ამას სასტარტო მღელვარებაც ემატებოდა, მაგრამ ქორიძემ ნერვიულობას, სიცხესაც და მეტოქესაც სძლია და ოლიმპიურ ტურნირზე პირველი გამარჯვება იზეიმა.

პირველ შეხვედრაში წარმატებას მიაღწია გივი კარტოზიამაც, მან ასევე ქულებით დაამარცხა ამერიკელი ჰოვარ ჯორჯი. მსოფლიოს სამგზისა და მელბურნის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, უცხოეთში საოცარი პოპულარობით სარგებლობდა. ელეგანტური ჭიდაობით იგი ყველას ხიბლავდა, მისი გაზნექით გდება კი იმდენად დახვეწილი იყო, სასწავლო ფილმისთვის გამოდგებოდა.

კარტოზია, როგორც ყოველთვის, საკუთარ თავზე მეტად, უმცროს მეგობრებზე ფიქრობდა. არც რომში დავიწყებია დებიუტანტი თანამემამულის გამხნევება.





პეტრე იორდანიშვილი
და ავთანდილ ქორიძე

დიდი ჩემპიონი რომ გახდე, უპირველესად საჭიროა ტალანტი, შრომა, კარგი მწვრთნელი და ცოტაოდენი იღბალი. ავთანდილ ქორიძეს ნიჭი საკმარისად ჰქონდა, არც ვარჯიში ეზარებოდა, ფორტუნასაც არ უჩიოდა და მწვრთნელიც სანაქებო შეხვდა. პეტრე იორდანიშვილს მწვრთნელის იშვიათი ალღო რომ ჰქონდა, ეს მისი შეგირდების მიღწევებიდანაც ჩანს, რომლებმაც ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიოს ჩემპიონატების არაერთი მედალი მოიპოვეს. პირველი ქართველი ოლიმპიური ჩემპიონი დავით ციმაკურიძეც ხომ მისი აღზრდილია.

— ეჭვი არ მეპარება, შენ ჩემპიონი გახდები, — თითქოს სხვათა შორის ეუბნებოდა ქორიძეს.

— რატომ ხარ ასე დარწმუნებული? — უკვირდა ავთოს, — გაზეთები წერენ, ოლიმპიადაზე სუსტები არ არიანო.

— სწორია, ოლიმპიადაზე ძლიერებიც არიან, მაგრამ შენ მათზე მთელი თავით მაღლა დგეხარ.

ვეტერანი ფალავნის წახალისება ქორიძისათვის სასიამოვნო იყო, კარტოზიას ნათქვამს სხვა წონა ჰქონდა. მარიო დე სილვასთან ქორიძემ მართლაც სოლიდური უპირატესობით გაიმარჯვა. უკვე მესამე წუთზე მეტოქე ეფექტური გდებით ხიდურზე დააყენა. მაყურებელთა გამაყრუებულმა ყიჟინამ „მასენციოს“ ნანგრევების გუმბათი ლამის ბოლომდე ჩამოანგრია. იტალიელი ხიდურიდან კი გამოძვრა, თუმცა საბოლოოდ 1:3 მაინც წააგო.

სტარტზე მიღწეული წარმატებით იმედმოცემულმა ქართველმა ფალავანმა მეორე წრეშიც დამაჯერებლად იმარჯვა — ამერიკელ ბენ ნორტრუპს ასევე 3:1 მოუგო. გივი კარტოზიამაც ქულებით სძლია თავის მეტოქეს, ფინელ ანტერ ვინანენს.

„პეტრეს ცირკი“

დიდი ჩემპიონი რომ გახდე, უპირველესად საჭიროა ტალანტი, შრომა, კარგი მწვრთნელი და ცოტაოდენი იღბალი. ავთანდილ ქორიძეს ნიჭი საკმარისად ჰქონდა, არც ვარჯიში ეზარებოდა, ფორტუნასაც არ უჩიოდა და მწვრთნელიც სანაქებო შეხვდა.

პეტრე იორდანიშვილს მწვრთნელის იშვიათი ალღო რომ ჰქონდა, ეს მისი შეგირდების მიღწევებიდანაც ჩანს, რომლებმაც ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიოს ჩემპიონატების არაერთი მედალი მოიპოვეს. პირველი ქართველი ოლიმპიური ჩემპიონი დავით ციმაკურიძეც ხომ მისი აღზრდილია.

იორდანიშვილების ოჯახი კალინინის (ამჟამინდელი ივანე ჯავახიშვილის) ქუჩაზე, კომუნალურ სახლში ცხოვრობდა. ერთოთახიან ბინაში მშობლები ოთხ ბიჭს, მათ შორის პეტრეს ზრდიდნენ. ოჯახის უფროსი, ანდრო იორდანიშვილი კომუნიზმზე ოცნებობდა. თავის დროზე, თანამებრძოლებთან ერთად

მთაწმინდაზე სტალინს მალავდა. დიდი ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, როგორც გამორჩეულ კომუნისტს, საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება შესთავაზეს. უარი თქვა, ჩემზე გაჭირვებულებიც არიანო.

იმხანად თბილისში ფეხს იკიდებდა ფრანგული (შემდგომში კლასიკური, ახლა ბერძნულ-რომაული) ჭიდაობა. დედაქალაქში რამდენიმე სეზონური ცირკიც გაჩნდა, სადაც პროფესიონალ ფალავანთა ტურნირები იმართებოდა. მათ შორის უძველესი ცირკი ვინმე ნიკიტინს ეკუთვნოდა. სწორედ ამგვარ ცირკში ნახა პირველად თოთხმეტი წლის პეტრე იორდანიშვილმა პროფესიონალთა ასპარეზობა და მას შემდეგ დაიწყო ცნობილი გოლიათების პორტრეტების, სხვადასხვა ტურნირების აფიშების შეგროვება. შემდეგ დამწყებ მოჭიდავეთა შეჯიბრებებს უკვე თავად ატარებდა კომერციული სასწავლებლის ეზოში. ბავშვური გატაცება თანდათან პროფესიად ექცა, მოგვიანებით კი, როდესაც ორჯონიკიძის ქუჩის 38-ში (ამჟამად ჩუბინაშვილის ქუჩა) საკუთარი, „პეტრეს ცირკი“ დააარსა, თავადაც იქ გადავიდა საცხოვრებლად ერთოთახიან ბინაში და ოჯახიც იქ შექმნა. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ წლებში ყველას უჭირდა, ორ-სამ ადგილას მუშაობდა. განათლებით ინჟინერი იყო, თუმცა ნიჭიერ კაცს, პრაქტიკულად ყველაფერი შეეძლო. ფრანგულიც იცოდა, ახალგაზრდობაში კინოთეატრებში აკომპანიატორად მუშაობდა, მაშინ ჯერ კიდევ მუნჯურ ფილმებს უჩვენებდნენ.

ჭიდაობას რომ იწყებდა, ძნელად თუ წარმოიდგენდა, რომ მისი შეგირდები მსოფლიოს მასშტაბის ფალავნები გახდებოდნენ, ხოლო ორჯონიკიძის ქუჩაზე მდებარე საჭიდაო სკოლას, სადაც ბევრი ტიტულიანი ფალავანი დაოსტატდა, მისი გარდაცვალების შემდეგაც „პეტრეს დარბაზად“ მოიხსენიებდნენ.

ჯუმბერ დავლიანიძე (ექსტრა კლასის საერთაშორისო მსაჯი): „იმ დარბაზში სამი ოჯახი ცხოვრობდა. პეტრე იორდანიშვილის გარდა, მსოფლიოს ჩემპიონების — გიორგი სხირტლაძისა და გურამ საღარიძის მწვრთნელს, შალვა ნოზაძესაც იქ ჰქონდა ბინა. კარს რომ გააღებდი, ზედ საჭიდაო ლეიბზე აღმოჩნდებოდი, ხოლო პირის დასაბანად, მთელი დარბაზი უნდა გაგევლო.

თავიდან მეც კლასიკურ ჭიდაობაში, ავთანდილ ქორიძესთან და როსტომ აბაშიძესთან ერთად ვვარჯიშობდი. ბატონი პეტრე თავის საქმეზე უზომოდ იყო შეყვარებული და ყველა ჭაბუკს ერთნაირი გულისხმიერებით ეპყრობოდა. ძალიან ტაქტიანი პიროვნება იყო, ზედმეტს არ გეტყოდა. ავთოს სულ რამდენიმე თვის დაწყებული ჰქონდა მასთან ვარჯიში, თბილისის მოსწავლეთა პირ-

საქართველოს „კლასიკოსთა“ ნაკრები. მარჯვნიდან მეოთხე — ავთანდილ ქორიძე

ველობაში რომ გაიმარჯვა. შემდეგ, იმავე 1950 წელს ბათუმში წავედით საქართველოს პირველობაზე და იქაც ყველას მოუგო. საკავშირო შეჯიბრებებში 1953 წლიდან გამოვდიოდით. მაშინ ზაპოროჟიეში ქორიძემაც და მეც მოვიპოვეთ პირველობა, ოღონდ მე უკვე თავისუფალი სტილით ვჭიდაობდი. ბატონ პეტრეს წვრთნის თავისებური მეთოდი ჰქონდა, ბავშვის ბუნებრივ თავისებურებებში ძალდატანებით არაფერს შეცვლიდა. მეც, ავთომაც და როსტომმაც მისგან ბევრი რამ ვისწავლეთ.“

როსტომ აბაშიძე: „ბათუმიდან თბილისში რომ გადმოვედი, უკვე თითქმის ჩამოყალიბებული მოჭიდავე ვიყავი, მაგრამ, რა თქმა უნდა, დასახვეწი კიდევ ბევრი მქონდა. პეტრე იორდანიშვილმა იცოდა, როდის რა ეთქვა. კარგი ფსიქოლოგი იყო, უფრო შენ მოგენდობოდა, თავად უნდა გადაგეწყვიტა რომელი ილეთი როგორ უნდა შეგესრულებინა. სპორტსმენის ინიციატივას არ ახშობ-

ავთანდილ ქორიძე თავიდანვე უტევდა მეტოქეებს, ბოლომდე აწვებოდა და ვიდრე სუნთქვა ყოფნიდა, არ მოეშვებოდა

და. გზადაგზა შენიშვნას მოგვცემდა, ზუსტს და მოზომილს. მთელი ვარჯიშის განმავლობაში შეიძლება ერთხელ ეჩვენებინა ან გაესწორებინა რომელიმე ფანდი, თუმცა ამას ისე გააკეთებდა, გამეორება აღარ დაგჭირდებოდა. ზოგი მწვრთნელი ასჯერ აგიხსნის რამეს და სასურველ შედეგს მაინც ვერ აღწევს, ის კი ერთი განმარტებით მიგვახვედრებდა ყველაფერს.

საბჭოთა ნაკრებში ერთი როსტოველი მწვრთნელი გვავარჯიშებდა, ვიქტირ სოკოლოვი. მასაც დაახლოებით იგივე მეთოდი ჰქონდა, როგორც ბატონ პეტრეს, არც ის მოგაბეზრებდა თავს გადამეტებული რჩევებით. მე მოგვერდს განსხვავებულად, ჩემებურად ვაკეთებდი. ნაკრების ხელმძღვანელებიდან ზოგი ერთ ვარიანტს მთავაზობდა, სხვა — მის საწინააღმდეგოს. სწორედ სოკოლოვმა მითხრა — ყურს ნურავის ნუ დაუგდებ, შენებურად იჭიდავე, ოღონდ ბოლომდე კარგად დაამუშავე ეგ გდებაო.“

რომან რურუა: „საქართველოში კლასიკური ჭიდაობის, როგორც სპორტის ცალკე სახეობის განვითარება, გასული საუკუნის 30-იანი წლებიდან იწყება. პირველი თობის ფალავნებმა — პეტრე იორდანიშვილმა, ნერსეს აკოფოვმა, მიხეილ თიკანაძემ, ვახტანგ კუხიანიძემ და სხვებმა, როცა კარიერა დაასრულეს, ახალგაზრდების წვრთნა დაიწყეს. ამ საქმეში ისინი მოგვიანებით კორიფეები გახდნენ. სწორედ მათი დიდი დამსახურებაა, რომ 60-იან წლებში საქართველოში ჭიდაობის რენესანსის ხანა დადგა. ღმერთმა ქნას, უკეთესი თაობა მოვიდეს, მაგრამ იმ დონის სპეციალისტები, ალბათ, აღარ გვეყოლება. ბედნიერი ვარ, რომ სწორედ იმ პერიოდში ვჭიდაობდი და მათი ხელმძღვანელობით დაოსტატებულ ფალავნებთან ერთად გამოვდიოდი შეჯიბრებაზე. ჩვენი მოჭიდავეები საბჭოთა კავშირში უძლიერესები იყვნენ და ქვეყნის მთავარ გუნდშიც ძირითადად მათ აყენებდნენ. 1954 წლის ტოკიოს მსოფლიოს ჩემპიონატზე, თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა საკავშირო ნაკრებში რვიდან შვიდ წონით კატეგორიაში სწორედ ჩვენებურებმა იასპარეზეს და მათგან ორმა — ვახტანგ ბალავაძემ და არსენ მეკოკიშვილმა ოქროს მედლებიც მიპოვეს.

პეტრე იორდანიშვილმა საფუძვლიანად იცოდა თავისი საქმე, ერთ-ერთი მოწინავე სპეციალისტი იყო. ზუსტად ხვდებოდა, რა მიმართულებით უნდა ემუშავა ახალბედა თუ გამოცდილ ფალავანთან და თანდათანობით აღწევდა კიდეც შედეგებს. თეორიაშიც ჩინებულად ერკვეოდა და ბევრი კარგი ახალგაზრდა გაიყვანა კიდეც დიდ სარბიელზე, რომლებმაც სწორედ მისი ხელდასმით მიაღწიეს წარმატებებს საკავშირო თუ საერთაშორისო არენაზე. დიდი სპორტსმენის გასაზრდელად მრავალწლიანი, დაუღალავი შრომაა საჭირო. მან კი ავთანდილ ქორიძე საკმაოდ მცირე დროში იმდენად კარგად მოამზადა, რომ საკავშირო ჩემპიონატების დებიუტანტმა პირველივე შეხვედრაში ოლიმპიური ჩემპიონი იაკობ პუნკინი დაამარცხა. მსგავსი რამ ძალზე იშვიათია. ავთო ფიზიკურადაც და ტექნიკურადაც ძლიერი იყო. დგომშიც და პარტერშიც ძნელად რომ ვინმეს გაეძლო მისთვის. მთელი თორმეტი წუთი უტევდა მეტოქეს, უკან არ დაიხევდა.“

მერაბ ღუდუშაური: „პეტრე ირდანიშვილი 1953 წელს გავიცანი, ზაფხულის არდადეგებზე ქალაქიდან არ გავსულვარ, თბილისში დავრჩი. „პეტრეს ცირკში“ მივედი, სწორედ იქ შევხვდი პირველად ავთანდილ ქორიძესაც, ის უკ-

ვე თანატოლებში ყველას ჯობდა, ჭაბუკთა საკავშირო პირველობისთვის ემზადებოდა.

ბატონ პეტრეს სელექციონერის ალღო ჰქონდა, სხვებზე ადრე და უკეთ ამოიცნობდა, რომელი ბიჭისაგან შეიძლებოდა კარგი მოჭიდავე დამდგარიყო. უზომოდ უყვარდა ქართული სპორტი და მით უფრო ჩვენი სახეობა, ის ჭიდაობით ცხოვრობდა. სულ თან დაგვყვებოდა, შეკრებებზეც და სხვადასხვა ტურნირებზეც.

მაშინ სხვა დრო იყო, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ბევრს უჭირდა არც ჩვენ ვიყავით დალხენილები. კვების ტალონებს რომ გვაძლევდნენ, ეს მოზარდებისთვის სერიოზულ დახმარებას ნიშნავდა. დარბაზში ისე არ შეგვიშვებდნენ, ხის ორი მორი რომ არ მიგვეტანა. ერთი სომეხი კაცი იყო, სოლომონ სოლომონოვიჩი, ადმინისტრატორად თუ ყარაულად მუშაობდა, შხაპისთვის წყალს „ბურჟუიკით“ (ღუმელი) აცხელებდა. ყველას უნდა გვყოფნოდა. გივი კარტოზია უკვე მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონის ტიტულებს ფლობდა და მასაც მხოლოდ რამდენიმე წამში უნდა გადაევლო ნელთბილი წყალი, სხვებსაც რომ დარჩენოდათ. ღუმელში სოლომონი სწორედ ჩვენს მიტანილ შეშას აწყობდა. ახლა წარმოიდგინეთ, ასეთ პირობებში კაცი დიდ ჩემპიონებს რომ გაზრდის, როგორი მწვრთნელი უნდა ყოფილიყო.

ავთო ბუნებრივი ნიჭით იყო დაჯილდოებული, მაგრამ რომ არა პეტრე იორდანიშვილი, ვინ იცის გახდებოდა თუ არა მსოფლიოს დონის ფალავანი. წლების განვალობაში ერთად გამოვდიოდით საბჭოთა ნაკრებში, საკუთარი თვალით მაქვს ნანახი მისი ბევრი შეხვედრა და ისიც მახსოვს, რა ოსტატურად ამარცხებდა მეტოქეებს.

1959 წლის ზაფხულის მიწურულს „ადრიატიკის თასის“ გათამაშება იუგოსლავიაში ჩატარდა. ხორვატიის მთავარ ქალაქში, სპლიტში, ძალიან ძლიერი შემადგენლობა შეიკრიბა, განსაკუთრებით ავთოს წონაში. უნგრელი იმრე ჰოიაკი უკვე საქვეყნოდ ცნობილი მოჭიდავე იყო. არც თურქ რეზა დოგანს აკლდა გამოცდილება, იგი უკვე ფლობდა ბუდაპეშტის მსოფლიოს ჩემპიონატის ოქროს მედალს. მასპინძლებსაც ძლიერი ფალავანი ჰყავდათ, ბრანკო მარტინოვიჩი. მათ გარდა ავთომ დასავლეთ გერმანელი სეგერი და ავსტრიელი ბრეციერიც დაამარცხა. ხუთივე ორთაბრძოლა დამაჯერებლად მოიგო, ფინალში კი დიდი უპირატესობით სძლია უნგრელ პოიაკს.“

სპლიტში მოპოვებული გამარჯვების შემდეგ, ავთანდილ ქორიძემ სხვა ქართველ „კლასიკოსებთან“ ერთად, პოლონეთის ტურნესთვის დაიწყო მზადება. მანამდე ჩვენი მოჭიდავეები უცხოეთში მხოლოდ საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობაში მიემგზავრებოდნენ, ახლა კი მათ პირველად მისცეს საქართველოს დელეგაციის სტატუსით საზღვარგარეთ გასვლის უფლება. ეს ჩვენებურთა მიღწევების აღიარებას ნიშნავდა. ქართველები თავს რომ არ შეირცხვენდნენ, ეჭვი არავის ეპარებოდა. იმხანად პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში საქართველოს კულტურის დღეები ტარდებოდა და ზეიმი ამ გამარჯვებებსაც უნდა დაემშვენებინა.

სამატჩო შეხვედრებისთვის სპორტსაზოგადოება „განთიადის“ ნაკრებში ავთანდილ ქორიძესთან ერთად როსტომ აბაშიძე, დავით გვანცელაძე, ომარ ეგაძე, მერაბ ღუდუშაური და სხვა ცნობილი ფალავნები შიყვანეს, მათი მომზადების პასუხისმგებლობა კი პეტრე იორდანიშვილს დაეკისრა. ბატონი პეტრე უცხოეთში უკვე ნამყოფი იყო. სტალინის გარდაცვალების შემდეგ, ნიკიტა ხრუშჩოვმა „რკინის ფარდა“ მოხსნა და სსრკ-ის ნაკრები შვეციას ეწვია. საბჭოელებმა მასპინძლები კი დაამარცხეს, თუმცა მორალურად განადგურებულები დაბრუნდნენ სამშობლოში. იმან, რაც მათ სკანდინავიის მიწაზე იხილეს, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. „ჩვენ გვეგონა ჩვენს ქვეყანაში ვაშენებდით კომუნიზმს, ჩვენ გვქონდა მსოფლიოში საუკეთესო წყობა. ნამდვილი კომუნიზმი კი თურმე შვეციაში ყოფილა,“ — იხსენებდა შემდეგ პეტრე იორდანიშვილი.

რაც შეეხება პოლონეთის ტურნეს, ჩვენმა მოჭიდავეებმა სამი სამატჩო შეხვედრა გამართეს და სამივე დიდი უპირატესობით მოუგეს მასპინძლებს.

ციმბირს გადარჩენილები

1957 წლის ნოემბერში სსრკ-ის ჩემპიონატი ლენინგრადში ჩატარდა. ეს ბოლო გენერალური რეპეტიცია იყო მომავალი სეზონის მსოფლიოს ჩემპიონატისთვის, რომელიც ბუდაპეშტში უნდა გამართულიყო. ქართველთაგან ოქროს მედლის მოპოვება როსტომ აბაშიძემ შესძლო, მერაბ ღუდუშაურმა და ავთანდილ ქორიძემ ფინალური შეხვედრები დათმეს. ღუდუშაურმა უკრაინელ ევგენი ზუბკოვსკისთან წააგო, ქორიძემ — რუს ნიკოლაი როდინთან.

ლენინგრადში დასრულებული საკავშირო ჩემპიონატის შემდეგ ქართველი მოჭიდავეები შინ მოსკოვის გავლით ბრუნდებოდნენ. ნაკრების წევრებს იქ სტიპენდიები ჰქონდათ ასაღები. სასტუმროში გაჩერდნენ. დილით ყველანი თავიანთ საქმეებზე წავიდნენ, საღამოს კი ერთად აპირებდნენ ვახშამს.

ქალაქიდან ყველაზე ადრე ავთანდილ ქორიძე და დავით გვანცელაძე დაბრუნდნენ. რესტორანში შევიდნენ მაგიდის წინასწარ შესაკვეთად. შორიახლოს სვერდლოვსკის საოლქო კომიტეტის მაღალჩინოსნები ქეიფობდნენ. უკვე კარგად შეზარხოშებულებს, როგორც ჩანს, თვალში არ მოუვიდათ კავკასიელები:

— Грузины лавровый лист продали, а теперь на нас же заработанных деньгах собираються пировать!

ერთ-ერთი „აქტივისტის“ ამ ნათქვამს თანამესუფრეებმა კვერი დაუკრეს და რუსული „ლოცვა-კურთხევაც“ მოაყოლეს.

მიუხედავად იმისა, რომ ლხინის მოყვარული პარტიული მუშაკები ათზე მეტნი იყვნენ, გვანცელაძემ საკადრისი პასუხი გასცა. სიტყვას სიტყვა მოჰყვა, გაწევ-გამოწევას – სერიოზული ჩხუბი. ქორიძეც გვერდში დაუდა მეგობარს და ჩინოვნიკები გვარიანად სცემეს, მაგრამ შემდეგ კინაღამ თავად გაუხდათ საქმე საციმბიროდ. რესტორანში გამოძახებულმა მილიციამ მოჩხუბრები დააკავა. მალე ისიც გაირკვა, ვინ იყო აურზაურის წამომწყები, თუმცა ადვილი წარმოსადგენია, მოსკოვში როგორ გაარჩევდნენ პარტბილეთიანებსა და მოჭიდავეებს შორის მტყუან-მართალს. საბჭოთა სპორტსმენებისათვის შეუფერებელი საქციელის გამო, საჩვენებელი სასამართლოს მოწყობაც ჩაიფიქრეს.

საქმეში ჩაერია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვასილ მჟავანაძე. როგორც იქნა, სიმართლე გაირკვა, მაგრამ ახლა ნაკრებში ყოფნა-არყოფნის საკითხი დადგა. ავთანდილ ქორიძის წონაში ნაკრებს ძალიან უჭირდა, საერთაშორისო ტურნირებზე წარმატებებს ვერ აღწევდნენ, ხოლო ქვესაშუალოში — მსოფლიოს ჩემპიონი ვლადიმირ მანეევი იყო. ამის გამო ქორიძეს „შეუნდეს“ ცოდვა, გვანცელაძე კი მოკვეთეს ნაკრებიდან. სხვათა შორის, ვერც ბუდაპეშტის და ვერც მომდევნო, იოკოჰამას მსოფლიოს ჩემპიონატებზე საბჭოელებმა ქვესაშუალო წონაში ოქროს მედალი ვერ აიღეს.

ვლადიმერ უგრეხელიძე
და ავთანდილ ქორიძე.
მოსკოვი, 1960 წელი

პირველ რიგში — გურამ საღარაძე, ვახტანგ ბალავაძე, რომან ძნელაძე. მეორე რიგში — ავთანდილ ქორიძე, როსტომ აბაშიძე, გურამ გობეჯიშვილი, ვლადიმერ რუბაშვილი და ზაურ შეყილაძე. ვლადივოსტოკი, 1961 წელი

სიფრთხილეს თავი არ სტკივა

1960 წლის 28 აგვისტო კვირა იყო და მიუხედავად იმისა, რომ ოლიმპიურ თამაშებს სტარტი ახალი აღებული ჰქონდა, იტალიელთა ტრადიციის თანახმად, დასვენების დღე გამოცხადდა. სპორტსმენებს მცირე ხნით სულის მოთქმის საშუალება მიეცათ. ავთანდილ ქორიძეს მესამე წრეში ძალიან ძლიერი მეტოქე ელოდა. თუ იტალიელი მარიო დე სილვა და ამერიკელი ბენ ნორტრუპი უტიტულონი იყვნენ და შედარებით ადვილადაც დაამარცხა, ამჯერად მას გამოცდილი ფინელი, კიუესტი ლეჰტონენი ელოდა.

სკანდინავიელმა 1953 წელს, ნეაპოლის მსოფლიოს ჩემპიონატზე წინ მხოლოდ „რკინის შვედი“ გუსტავ ფრეი გაუშვა და ვერცხლი აიღო, მეორე ვერცხლის მედალი მომდევნო მსოფლიოს ჩემპიონატზე დაისაკუთრა, 1956 წელს კი მელბურნის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი გახდა.

ფინელის და ქართველის ჭიდაობა დაძაბული გამოდგა. სატურნირო მდგომარეობის გამო, ორივე ფრთხილობდა. ქულებით მარცხიც კი ორივესთვის დამღუპველი იქნებოდა — ხუთი საჯარიმოთი ისინი, პრაქტიკულად, კარგავდნენ ფინალში მოხვედრის შანსს. გამოცდილმა ლეჰტონენმა წინასწარ გათვალა შესაძლო ვარიანტები, ზედმეტად არც ქორიძეს სურდა გარისკვა. თორმეტწუთიანი ჭიდილი საბოლოოდ ფრედ დასრულდა. მორიგი გამარჯვებები მიითვალეს მთავარმა კონკურენტებმა — ბულგარელმა დიმიტრ სტოიანოვმა, იუგოსლავიელმა ბრანკო მარტინოვიჩმა და ოლიმპიურმა ჩემპიონმა გუსტავ ფრეიმ.

ამრიგად, სამი წრის შემდეგ, მსუბუქ წონაში ოცდასამი მონაწილიდან, ფინალში გასვლის მთავარი პრეტენდენტები იყვნენ: ლეჰტონენი, ფრეი, მარტინოვიჩი, სტოიანოვი და ქორიძე.

თავისი მომდევნო შეხვედრა მოიგო გივი კარტოზიამაც. ამჯერად მან ჰერბერტ ალბრეხტს (გდრ) სძლია.

საბჭოთა ფალავნების გამოსვლით ჯერჯერობით კმაყოფილი იყო არკადი ლენცი. გაზეთ „Советский Спорт“-ისთვის მიცემულ ინტერვიუში იგი აღნიშნავდა: „არც ერთ წინა ოლიმპიადებსა თუ მსოფლიოს ჩემპიონატებს არ შეუკრებია ასეთი სოლიდური შემადგენლობა. რომში 170-ზე მეტი კლასიკური სტილით მოჭიდავე ჩამოვიდა საასპარეზოდ. მათი ოსტატობის დონეზე თუ

ვისაუბრებთ, შესამჩნევად გაიზარდა დანიის, ნორვეგიის, შვეიცარიის ფალავნების კლასი, იმ ქვეყნებისა, რომლებიც ადრე დიდ ხალიჩაზე არაფრით არ გამოირჩეოდნენ. სიურპრიზი შემოგვთავაზეს იაპონელებმაც. კარგა ხანია უკვე ცნობილია მათი თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ოსტატობა. აი, კლასიკურ ჭიდაობაში კი პირველად გამოჩნდნენ. როგორც ველოდით, გუნდურ ჩათვლაში ჩვენი მთავარი მეტოქეები, ბულგარელები და თურქები არიან, თუმცა სამი წრის შემდეგ სრული შემადგეენლობით მხოლოდ საბჭოთა ნაკრები აგრძელებს ოლიმპიურ ტურნირს.“

გამოცდილმა ლენცმა კარგად იცოდა, რომ სსრკ-ის „კლასიკოსების“ მსოფლიო ასპარეზზე გამოჩენამდე, ამ სახეობაში შვედები დომინირებდნენ, მაგრამ ჰელსინკის ოლიმპიადიდან მოყოლებული, ძალთა თანაფარდობა შეიცვალა. ახლა პირველობა საბჭოელებს ეპყრათ ხელთ. წინა, მელბურნის თამაშებზე, ისევე როგორც ბუდაპეშტის მსოფლიოს ჩემპიონატზე, მათ ხუთ-ხუთი ოქროს მედალი დაისაკუთრეს. მაგრამ ამ რანგის ტურნირებზე ხშირად გაუთვალისწინებელი ამბებიც ხდება. მაგალითად, რომში სამი წრის შემდეგ რამდენიმე ფალავანი საკუთარი ნებით გამოეთიშა ოლიმპიადას. მიუხედავად იმისა, რომ მათ ექვსი საჯარიმო ქულა არ ჰქონდათ, ფინალში მაინც ვერ ხვდებოდნენ. შესაბამისად, მსაჯთა კოლეგია იძულებული გახდა ზოგიერთ წონაში მონაწილეთა წყვილები შეეცვალა. მსუბუქ წონაში ფავორიტებთან ერთად ახალბედებიც აგრძელებდნენ ბრძოლას. მათ შორის იყო ავთანდილ ქორიძეც, მაგრამ მას მედლის მოსაპოვებლად ახლა უკვე არც წაგების და არც ფრეზე ჭიდაობის უფლება აღარ ჰქონდა.

მეოთხე წრეში ქორიძის პირისპირ ბერძენი ანასტას მოისიდისი დადგა. ქართველმა თავიდანვე მაღალ ტემპში შეუტია, ერთ ფანდს მეორე მიაყოლა, მოისიდისს ამოსუნთქვის საშუალება არ მისცა. უკვე მესამე წუთზე ქორიძემ თავის „საფირმო“ ილეთზე დაიჭირა ბერძენი და ხიდურზე გადაიყვანა. კიდევ ორი წუთი უძალიანდებოდა მეტოქე ჩვენებურს, ბოლოს კი ენერგია რომ გამოელია, ხალიჩაზე ბეჭებით აღმოჩნდა. ავთანდილ ქორიძემ სუფთა გამარჯვება მოიპოვა და მიზანიც მოიახლოვა, მაგრამ, თურმე, ფორტუნა და მსაჯთა კოლეგია არასასიამოვნო სიურპრიზს უმზადებდა.

ფინალში უსიამოვნება ელოდა გივი კარტოზიასაც. მიუხედავად იმისა, რომ მეოთხე წრეშიც სძლია მორიგ მეტოქეს, რუმინელ გეორგ პოპოვიჩს, ქო-

რიძისგან განსხვავებით, მხოლოდ ქულებით გაიმარჯვა, რის გამოც ერთი საჯარიმო ქულა დაემატა, რაც ოლიმპიური ტურნირის გადამწყვეტ ორთაბრძოლაში მძიმე ტვირთი აღმოჩნდა.

ქართული ბარიერი

უნგრელი გეორგ გურიჩი გასული საუკუნის 50-60-იანი წლებში ერთ-ერთი საუკეთესო ფალავანი იყო, მაგრამ სადაც კი ქართველებს გადაეყარა, ყველასთან დაიჩაგრა.

ჰელსინკის ოლიმპიადაზე თავისუფალ ჭიდაობაში გამოდიოდა. საშუალო წონაში იგი დაუმარცხებლად ასპარეზობდა, მაგრამ მეოთხე წრეში ჩვენს დავით ციმაკურიძესთან ქულებით წააგო და საბოლოოდ ბრინჯაოს მედალს დასჯერდა. ჩემპიონი გახდა ციმაკურიძე.

სამი წლის შემდეგ გურიჩმა უკვე კალსიკურ ჭიდაობაში სცადა ბედი. გერმანიაში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე ახლა გივი კარტოზიასთან მოუწია ურთიერთობის გარკვევა, თანაც ფინალში. გურიჩი ამჯერადაც დამარცხდა და ვერცხლით დაკმაყოფილდა. ოქრო კარტოზიამ წამოიღო თბილისში.

გურიჩს მელბურნის ოლიმპიადაზეც არ გაუმართლა, როცა მესამე წრეში ისევ გივი კარტოზიას შეხვდა. კარტოზიამ უნგრელ ფალავანს ქულებით აჯობა, მერე ფინალიც მოიგო და ოლიმპიური ჩემპიონი გახდა, გურიჩი კი მეხუთე ადგილზე დარჩა.

1958 წლის ბუდაპეშტის მსოფლიოს ჩემპიონატისათვის უნგრელმა წონაში მოიმატა, ქვემძიმეში გადაინაცვლა, მაგრამ აქ უკვე როსტომ აბაშიძე დაუხვდა. თითქოს ახალბედასთვის უნდა ეჯობნა, მაგრამ გურიჩი ამჯერადაც ქართველის მსხვერპლი გახდა. აბაშიძემ სოლიდური უპირატესობით მოიგო ის ფინალური შეხვედრა, თავად კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა, მადიართა ჯილას კი კვლავ ვერცხლი ერგო.

გურიჩის კოჭი ალჩუზე დაჯდა მხოლოდ 1961 წელს, იოკოჰამის მსოფლიოს ჩემპიონატზე, როდესაც როსტომ აბაშიძის ნაცვლად საბჭოთა ნაკრების მწვრთნელებმა ქვემძიმე წონით კატეგორიაში არკადი ტკაჩოვი აჭიდავეს.

როსტომ აბაშიძე: „გეორგ გურიჩი ფართობეჭებიანი, ფიზიკურად ძალიან ძლიერი მოჭიდავე იყო. როგორც ამბობდნენ, ცხენის ნალს ამტვრევდა. პირველად მსოფლიოს ჩემპიონი რომ გავხდი, მის სამშობლოში ტარდებოდა ტურნირი. ჩვენ წონაში სხვა კარგი ფალავნებიც გამოდიოდნენ, მაგრამ, ბუნებრივია, მას საკუთარ კედლებში გამარჯვების დიდი იმედი ჰქონდა. დათმობას არც მე ვაპირებდი, მანამდე ასეთი დონის შეჯიბრებებში მონაწილეობა არასდროს მიმიღია და ბუდაპეშტში მოსაგებად წავედი. გადამწყვეტი სწორედ გურიჩთან შეხვედრა გამოდგა, ბრძოლაც შესაბამისი გვქონდა, თუმცა მახსოვს, სამი ქულის უპირატესობით მე გავიმარჯვე.

იოკოჰამას მსოფლიოს ჩემპიონატის წინ ვლადივოსტოკში ვემზადებოდით. იმ სეზონის საკავშირო ჩემპიონატი მოგვიანებით, სექტემბერში უნდა ჩატარებულიყო. რომის ოლიმპიადაზე კი არც მე და არც ტკაჩოვს არ გვიჭიდავია. ამდენად, ნაკრების ხელმძღვანელებს არკადი ტკაჩოვს, ჩემსა და ნიკოლაი პარხომენკოს შორის უნდა გაეკეთებინათ აჩევანი. ეს უკანასკნელი გუნდის უფროსი მწვრთნელის, ვიაჩესლავ კოჟარსკის პირადი შეგირდი იყო.

იმ პერიოდში ჩვენ სამიდან ობიექტურად ყველაზე ძლიერი ვიყავი, ეს ნაკრების ხელმძღვანელებმაც ჩინებულად იცოდნენ. სწორედ ამის გამო ტკაჩოვთან სპეციალურად არ დამინიშნეს საკონტროლო შეხვედრა. თვეზე მეტი ვიყავით ვლადივოსტოკში და ერთხელაც არ დაგვაჭიდეს. წარმოშობით იგი ბაქოელი იყო. ჩვენთან ერთად შეკრებებზე კიდევ ერთი ბაქოელი, არმაის საიადოვი იმყოფებოდა. მისგან გავიგე, რომ ტკაჩოვს ნაკრების მწვრთნელისათვის ავტომანქანის საბურავები უჩუქებია. სიმართლე გითხრათ, მერიდება ამის გახსენება, პრინციპში აღარც აქვს მნიშვნელობა, მაგრამ ოლიმპიადის შემდეგ, არც მსოფლიოს ჩემპიონატზე არ მომცეს გამოსვლის საშუალება. იაპონიის მსოფლიოს ჩემპიონატი კი გეორგ გურიჩმა დამაჯერებლად მოიგო. რომ გაუგია, იოკოჰამაში როსტომ აბაშიძე არ ჩამოვიდაო, დაუფიცია — ოქროს მედალს აუცილებლად მოვიპოვებო, მერე კი ჭიდაობასაც თავს დავანებებო. ასეც მოხდა, უნგრელმა ფალავანმა, მსოფლიო არენაზე თავისი ათწლიანი კარიერა, ოქროს მედლით და გამარჯვებით დაასრულა.“

იყო კიდევ ერთი ასეთი მოჭიდავე, რომელიც ქართველების გამო უმაღლეს მწვერვალებს ვერ აღწევდა. თურქმა ისმეთ ათლიმ ათჯერ მიიღო მონაწილეობა ოლიმპიურ თამაშებსა და მსოფლიოს ჩემპიონატებში და მხოლოდ

ავთანდილ ქორიძე,
ვახტანგ ბალავაძე
და გივი კარტოზია

ერთხელ ავიდა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე. ძირითადად თავისუფალში გამოდიოდა, თუმცა რამდენჯერმა კლასიკურშიც სცადა ბედი. პირველად ეს 1955 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხდა და გივი კარტოზიასთან დამარცხდა. მომდევნო სეზონში ისევ თავის სახეობას დაუბრუნდა, მაგრამ ახლა გიორგი სხირტლაძემ აჯობა და ოლიმპიური ბრინჯაოს მედალიც მან აიღო. 1962 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე, რომელიც ამერიკულ ტოლიდოში გაიმართა, კვლავ კლასიკური სტილით იჭიდავა და ფინალში როსტომ აბაშიძესთან დამარცხდა.

როჟე კულონის ვერდიქტი

საბჭოთა დელეგაციის ხელმძღვანელებმა რომის ოლიმპიურ თამაშებზე გამგზავრების წინ სპეციალური პრესკონფერენცია მოაწყვეს. ნაკრები გუნდების მზადყოფნის შესახებ დეტალურად ისაუბრა სსრკ-ის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ, ნიკოლაი რომანოვმა.

„ჩვენი ქვეყნის სპორტული დელეგაცია ერთ-ერთი ყველაზე მრავალრიცხოვანი იქნება, — განაცხადა რომანოვმა, — მის შემადგენლობაშია 300 სპორტსმენი, რომელთაგანაც 200 პირველად იასპარეზებს თამაშებში. საბჭოთა გუნდში 23 ეროვნების ათლეტი გამოვა.

ისევე, როგორც ჰელსინკისა და მელბურნის ოლიმპიურ თამაშებში, რომშიც საბჭოთა სპორტსმენები ოლიმპიური პროგრამის თითქმის ყველა სახეობაში მიიღებენ მონაწილეობას. რომში გაემგზავრება 60 მწვრთნელი და ექიმი, 31 მსაჯი და სხვა ოფიციალური პირი. იტალიაში საბჭოთა გუნდის ხარჯი დაახლოებით 2 მილიონი მანეთი იქნება. აქედან თითქმის ნახევარი მონაწილეთა ტრანსპორტირებისთვისაა გამოყოფილი, ხოლო 800-850 ათასი მანეთი დელეგაციის ოლიმპიურ სოფელში ცხოვრებას დასჭირდება“. რომანოვმა პრესკონფერენციაზე ასევე ისაუბრა საბჭოთა ოლიმპიელების გეგმებზე. ცხადია, საბჭოელების მთავარი ამოცანა იყო პირველი ადგილის დაკავება არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში. ამისთვის კი, სპეციალისტების გათვლებით, საჭირო იყო 40-მდე ოქროს მედლის მოპოვება.

ავთანდილ ქორიძეს რომის ოლიმპიური თამაშების ოქროს მედლის მოსაპოვებლად კიდევ ორი შეხვედრა უნდა მოეგო. დარჩენილი ორთაბრძოლები უდავოდ ყველაზე რთული იქნებოდა, განსაკუთრებით კი — ბულგარელ დიმიტრ სტოიანოვთან შერკინება. სტოიანოვმა ოლიმპიურ ჩემპიონს კიუესტი ლეჰტონენს სძლია, ამ უკანასკნელთან კი ქართველმა ფალავანმა ქულები გაიყო. ბოლო მეტოქე, იუგოსლავიელი ბრანკო მარტინოვიჩიც, ცხადია, ძლიერი მოჭიდავე იყო.

როგორც საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი სერგეი პრეობრაჟენსკი აღნიშნავდა, მართალია, ოლიმპიური თამაშები ქორიძისთვის პირველი დიდი საერთაშორისო შეჯიბრება იყო, მაგრამ ქართველი დებიუტანტი ისე ჭიდაობდა, თითქოს ზურგს უმაგრებდა სატურნირო გამოცდილება. ქორიძე ყველაზე ახალგაზრდა იყო საბჭოთა ნაკრებში. მას მეტოქეთაგან ვერავინ ვერ ჯობდა გაზნექით გდებაში. თუ ვინმე მჭიდრო კონტაქტში შევიდოდა, მაშინვე გადააგდებდა და პარტერში გადაიყვანდა, აქ კი, პრაქტიკულად, ვერავინ ახერხებდა მისი შეტევებისგან თავის დაღწევას.

მხოლოდ მრავალნაცადმა ფინელმა მოახერხა ავთანდილთან ფრედ დაემთავრებინა შეხვედრა, ისიც იმიტომ, რომ თავად ქორიძეს აწყობდა ეს შედეგი. ამის შემდეგ მთავარი კონკურენტის სატურნირო მდგომარეობა თითქმის უიმედო გახდა, რადგანაც ოთხი საჯარიმო ქულა საქმეს ძალიან ურთულებდა. ასეც მოხდა, ლეჰტონენი მომდევნო შეხვედრაშივე დამარცხდა და მედლის მოპოვების ყოველგვარი შანსი დაკარგა.

ავთანდილ ქორიძისთვის ერთ-ერთი გადამწყვეტი და დრამატული გამოდგა მეხუთე წრის შეხვედრა ბულგარელ დიმიტრ სტოიანოვთან, რომელსაც მანამდე ყველა მეტოქე დამარცხებული ჰყავდა და ქორიძესთანაც გულდაგულ გამოვიდა საჭიდაოდ. ბულგარელსაც და ქართველსაც ოქროს მედლის მოსაპოვებლად მხოლოდ გამარჯვება სჭირდებოდათ.

როსტომ აბაშიძე: „ვინაიდან რომში სათადარიგო ვიყავი, თავისუფალ დროს ავთოს ვეხმარებოდი. ის ჩინებულ ფორმაში იყო და ყველა შეხვედრა მაღალ დონეზე იჭიდავა. ბულგარელ სტოიანოვთანაც სულ უტევდა. თავიდანვე რამდენიმე ილეთზე დაიჭირა, თუმცა მსაჯებმა რატომღაც არ შეუფასეს. ქორიძე ისევ აგრძელებდა შეტევებს, ხოლო სტოიანოვი, როგორც ჩანს, არბიტრის არაობიექტურობით გათამამებული, ერთთავად ხალიჩიდან გარბოდა.

პასიურობისთვის, წესით, მსაჯებს უნდა დაესაჯათ, ისინი კი ვერაფერს ამ-ჩნევდნენ. ავთოს უპირატესობა აშკარა იყო, ამას მაყურებლებიც ხედავდნენ და ჩვენი ბიჭებიც. ბულგარელი ვერ ახერხებდა საიმედოდ თავის დაცვას, ერთ მომენტში ბეჭებითაც შეეხო ხალიჩას და სწორედ აქ დაიწყო ის გაუგებრობე-ბი, რაც ქორიძისთვის ოლიმპიადის დასრულებას ნიშნავდა.

როგორც ჩანს, მსაჯებმა სტოიანოვის საქციელი ბულგარეთის და საბჭოთა დელეგაციების ხელმძღვანელების წინასწარ შეთანხმებად ჩათვალეს და ორივე მოჭიდავე მოხსნეს ბრძოლიდან. ეს იყო სრულიად უსაფუძვლო გადაწყვეტილე-ბა. სტოიანოვს ქორიძისთვის რატომ უნდა დაეთმო მისთვისაც მეტად მნიშვნე-ლოვანი ორთაბრძოლა? ლოგიკურად, ამგვარი ვარიანტი, არავითარ საღ აზრს არ ექვემდებარება. გამარჯვების შემთხვევაში ბულგარელი თავად ხდებოდა ოქროს მედლის ნომერ პირველი კანდიდატი. ამ ოლიმპიადაზე ბულგარელებს ერთადერთი ჩემპიონი ჰყავდათ, რატომ უნდა დაეკარგათ მეორე ტიტული?!“

ასეა თუ ისე, მსაჯებმა გადაწყვეტილება მიიღეს — თურმე, სტოიანოვი შეგნებულად „დაუწვა“ ქართველ ფალავანს და არასპორტული საქციელისათ-ვის ორივე მოხსნეს ოლიმპიური ტურნირიდან. არბიტრების არაობიექტურობას არ დაეთანხმდნენ გულშემატკივრები და ტრიბუნებიც ახმაურდნენ. უკმაყო-ფილო იტალიელები სტვენითა და შეძახილებით აქტიურად მოითხოვდნენ სა-მართლიანობის აღდგენას. პროტესტი გამოთქვეს საბჭოთა დელეგაციის ხელ-მძღვანელებმაც, მაგრამ ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენ-ტმა, ფრანგმა როჟე კულონმა მსაჯთა კოლეგიის ვერდიქტი ძალაში დატოვა.

ტრიბუნები ისევ არ ცხრებოდნენ, თავად ჩვენი მოჭიდავე კი ამ დროს გა-ოგნებული იდგა ხალიჩის კუთხეში და სიმწრის ცრემლს ძლივს იკავებდა. და-ვა დიდხანს გაგრძელდა. ბედად, ქორიძისა და სტოიანოვის შეხვედრას საპა-ტიო სტუმართა ლოჟიდან უყურებდა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი, ევერი ბრენდეჯი. სიმართლის გასარკვევად სწორედ მას მიმარ-თა ნიკოლაი რომანოვმა. ბრენდეჯი ამერიკელი იყო. ამ ქვეყნის კლასიკური სტილით მოჭიდავეებს, არც მსოფლიოს ჩემპიონატებზე და არც ოლიმპიურ თამაშებზე, საპრიზო ადგილების პრეტენზია კარგა ხანია არ ჰქონიათ. სოკ-ის პრეზიდენტი ამ შემთხვევაში აბსოლუტურად ობიექტური უნდა ყოფილი-ყო და მან ასეთივე გადაწყვეტილებისკენ მოუწოდა მსაჯთა კოლეგიასაც და ფილა-ს პრეზიდენტ როჟე კულონსაც. მსაჯებმა კიდევ ითათბირეს და, საბო-

საქართველოს „კლასიკოსთა“ ნაკრები — ომარ ეგაძე, გოდერძი ჩიტიშვილი, მერაბ ღუდუშაური, ავთანდილ ქორიძე, დავით გვანცელაძე, ზაურ ჭითავა, ფავრიზ გველესიანი და როსტომ აბაშიძე. 1961 წელი

ლოოდ, ავთანდილ ქორიძეს ქულებით გამარჯვება მიაკუთვნეს, სტოიანოვი კი მოხსნეს. მოკლედ, სამართალმა პური ჭამა. ამით გუსტავ ფრეიმაც იხეირა — შვედს ბრინჯაოს მედალი ერგო.

ქულებით გაიმარჯვა გივი კარტოზიამაც. მან უნგრელი პეტერ პიტი დაამარცხა და ერთი ნაბიჯილა აშორებდა ოქროს მედალს. ხუთი შეხვედრიდან კარტოზიამ ხუთივე ქულებით მოიგო და ამდენივე საჯარიმოც დაუგროვდა. ამ დროისთავის კიდევ სამ პრეტენდენტს დარჩა მედლების მოპოვების შანსი. ქართველ ფალავანს დასკვნითი ორთაბრძოლა თურქ ტევფიკ კიშთან ჰქონდა. წმინდად გამარჯვების შემთხვევაში, კარტოზია ოლიმპიურ ოქროს მეორედ დაეუფლებოდა, ხოლო თუ ქულებით მოიგებდა ან წააგებდა — მესამე ადგილის დასჯერდებოდა.

ყველამ იცოდა, რომ კარტოზია სუფთა მოგებაზე იჭიდავებდა და მეტოქის ბეჭებზე დაწვენას შეეცდებოდა. თუმცა ასეთი ტაქტიკა გახსნილ, რისკიან ბრძოლას მოითხოვდა, რაც თურქს გარკვეულ უპირატესობას ანიჭებდა. აქ

ერთი მნიშვნელოვანი გარემოებაც არსებობდა — ბატონ გივის უკვე ორი წელია, რაც თავი ჰქონდა დანებებული ჭიდაობისათვის.

მსოფლიოს სამგზისა და მელბურნის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა მაინც გარისკა, ბოლომდე უტევდა. მაგრამ შეხვედრის მიწურულს თურქმა ფალავანმა ერთი კონტრილეთის ჩატარება მოახერხა და ოქროს მედალიც დაისაკუთრა. გივი კარტოზია ბრინჯაოს ჯილდოს დაეუფლა.

ლეგენდარულმა ქართველმა ფალავანმა გივი კარტოზიამ ამით დაასრულა თავისი სპორტული კარიერა, ტოვფიკ კიშმა კი შემდგომში ჩემპიონის ტიტულები კიდევ მოიპოვა. ტოლიდოსა და ჰელსინბორგის მსოფლიოს ჩემპიონატებზე იგი კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ზედიზედ ორჯერ ავიდა.

ავთანდილ ქორიძე ოლიმპიური ჩემპიონია!

1960 წლის 31 აგვისტოს, რომის ოლიმპიურ თამაშებზე კლასიკური სტილის მოჭიდავეთა ფინალური შეხვედრების დღე იყო. საღამოსთვის ცოტა აგრილდა, „მასენციოს“ ბაზილიკის თაღებქვეშ ტემპერატურა 30 გრადუსამდე ჩამოვიდა, თუმცა თავად ფინალისტებს სუნთქვა მაინც უჭირდათ, ახლა უკვე მღელვარებისაგან.

ავთანდილ ქორიძის ბოლო მეტოქე იუგოსლავიელი ბრანკო მარტინოვიჩი იყო. გამარჯვებული ოქროს მედალს დაეუფლებოდა, ქორიძეს ქულებით მოგებაც აწყობდა. იტალიელებს ფინალში არავინ ჰყავდათ, ამიტომ მათი ჯილა ქორიძე გახდა. ტრიბუნები ისევ ახმაურდნენ. მარტინოვიჩს სუსტი მოჭიდავე ნამდვილად არ ეთქმოდა. გავიხსენოთ, რომ ამ ოლიმპიადაზე თავად მსოფლიოსა და ოლიმპიურმა ჩემპიონმა, გუსტავ ფრეიმ ვერაფერი მოუხერხა და მათი ორთაბრძოლა ფრედ დასრულდა.

ფინალი ორივემ ფრთხილად დაიწყო, ერთმანეთს მკლავის ძალა მოუსინჯეს, მერე კი ქორიძემ შეუტია. მარტინოვიჩი თავისი უდრეკი ხიდურით იყო ცნობილი, მან ბოლომდე ღირსეულად იბრძოლა, ერთხელ ქულაც აართვა მეტოქეს, მაგრამ ქორიძის შეჩერება მაინც ვერ მოახერხა, თავადაც წამოეგო მის ფანდებზე და ზედიზედ სამი ქულა წააგო. სასტვენის შემდეგ მსაჯმა ქართველი ფალავნის ხელი აღმართა.

ავთანდილ ქორიძე ოლიმპიური ჩემპიონია!

მოგვიანებით, ბრანკო მარტინოვიჩი ასე იხსენებდა რომაულ ფინალს: „შეხვედრის დაწყებიდან ცოტა ხანში მივხვდი, რომ ქორიძის დამარცხება შეუძლებელი იყო. მივხვდი და უნებურად ბედს შევურიგდი. იგი ისეთი თავგანწირვითა და აზარტით მიტევდა, რომ მის ტემპს ვერ გავუძლებდი, ადრე თუ გვიან, დანებება მომიწევდა."

უკან დარჩა მომქანცველი ტურნირი. ავთანდილ ქორიძე კვარცხლბეკზე დგას და ოქროს მედალს გადასცემენ. სახეზე ვერაფერს შეატყობთ — თითქოს ეს მისთვის მორიგი ოლიმპიური გამარჯვება ყოფილიყო.

დაღლა მერე იგრძნო, როცა ოლიმპიურ სოფელში მიბრუნდა. დიდ ოთახში სკამზე ჩამოჯდა და ტელევიზორს უყურებდა. რობერტ შავლაყაძე შემოვიდა, სიმაღლეზე მხტომელთა საკვალიფიკაციო შეჯიბრებები გვიანობამდე გაგრძელდა და იმ დღის ამბები არ იცოდა.

— რა ქენიო? — იკითხა.

— ვიჭიდავე, — მოკლედ უპასუხა ქორიძემ.

შავლაყაძემ მოიწყინა, იფიქრა, ალბათ ვერ მოიგოო, მაგრამ იქვე მყოფ გიორგი სიხარულიძეს — საქართველოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარეს ისე გაეღიმა, ეჭვით გადახედა ორივეს.

— იჭიდავა, მაგრამ როგორ იჭიდავა, ჩემპიონი გახდა! — ავთოს ნაცვლად უპასუხა სიხარულიძემ.

რობერტ შავლაყაძემ მაგრად ჩამოართვა ხელი ქორიძეს და გამარჯვება გულითადად მიულოცა.

მეორე დღეს ეს პროცედურა ისევ განმეორდა, როდესაც რომის ოლიმპიური სტადიონიდან შავლაყაძე გვიან ღამით ოქროს მედლით დაბრუნდა. XVII ოლიმპიურ თამაშებზე ქართველთაგან ჩემპიონები სწორედ ავთანდილ ქორიძე და რობერტ შავლაყაძე გახდნენ

სწავლა მოსწავლეთა

ჩოხატაურის რაიონში მთის ლამაზი სოფელია, ჩომეთი ჰქვია. ავთანდილ ქორიძემ ბავშვობა ამ სოფელში გაატარა, სკოლაშიც იქ შევიდა. მეგობრები

ამის გამო „ჩომეთასაც“ ეძახდნენ ხოლმე, ეს მისი მეორე ზედმეტსახელი იყო. მეორე მსოფლიო ომმა საბჭოთა კავშირამდე რომ მოაღწია, მამა ფრონტზე გაიწვიეს, ავთო კი ბაბუამ სოფელში წაიყვანა. კიდევ სამი და ჰყავდა. ისევე როგორც ყველას, ძალიან უჭირდათ. იმ წლებში საქართველოს სოფლებმა ბევრი ქალაქელი შეიფარა. დედა „დინამოს“ სტადიონზე მუშაობდა, საქსოვი საამქრო იყო იქ.

ჩომეთში კვირაობით სოფლის შემაღლებულ ადგილას ზოგჯერ ჭიდაობა იმართებოდა. ჩვეულებრივ, ბაბუა აქტიურობდა, ავთოც პირველად მან შეაგულიანა. დედაქალაქში რომ დაბრუნდა, ომი უკვე დამთავრებული იყო. თბილისის მეთერთმეტე საშუალო სკოლაში შეიყვანეს. თანაკლასელებმა წყნარი, გულღია ახალბედა თავიდანვე კარგად მიიღეს. ბეჯითად სწავლობდა, ბუნებით არ იყო ზარმაცი, დაბალი ნიშნები ეთაკილებოდა, ჭიდაობაზე კი არც ფიქრობდა. „პეტრეს დარბაზში“ ამხანაგებმა — იაშა მამისთვალოვმა და ზურაბ ქორიძემ მიიყვანეს. პეტრე იორდანიშვილმა, იქნებ, თხუთმეტი წლის ბიჭისთვის ჭიდაობის დაწყება დაგვიანებულადაც კი ჩათვალა, მაგრამ კუნთმაგარი ყმაწვილი თვალში მოუვიდა და თავის ჯგუფში გაამწესა.

რამდენიმე თვეში თბილისის მოსწავლეთა პირველობა მოიგო, შემდეგ კი ბათუმში, თანატოლთა რესპუბლიკურ პირველობაზეც იმარჯვა. 1952 წელს ივანოვოში მოზარდთა საკავშირო პირველობაზე მეორე ადგილი ერგო, თუმცა მომდევო სეზონშივე, ზაპოროჟიეში გამართულ ჭაბუკთა ანალოგიურ ტურნირზე ყველა მეტოქე დაამარცხა და შინ გამარჯვებული დაბრუნდა.

ომარ ბლიაძე (ევროპის ჩემპიონი): „ავთანდილ ქორიძე რომ გავიცანი, ჯერ კიდევ არ იყო ტიტულიანი მოჭიდავე. მეც „პეტრეს ცირკში“ დავიწყე ვარჯიში. მაშინ 70-75 კილო ვიქნებოდი, ავთოზე ცოტა მძიმე, მაგამ ის ასაკით უფროსი იყო და ჩემთან სპარინგ-პარტნიორობა აწყობდა. საერთოდ ასეა — გამოუცდელ მეტოქესთან ადვილად გამოგდის სხვადასხვა ფანდი, კომბინაციებსაც კარგად ამუშავებ. როგორც ჩანს, მისთვის მისაღები პარტნიორი ვიყავი და უყვარდა კიდეც ჩემთან ჭიდაობა. გარდა ამისა, მე თავიდანვე მაღალი დგომი მქონდა, არ ვიხრებოდი, ყრუ დაცვაში არ ვიკეტებოდი. მაგდებდა — მივდიოდი, ისევ დამიჭერდა ილეთზე — კვლავ თამამად ვეჭიდებოდი. ნელ-ნელა ბევრი რამ ვისწავლე მისგან. ბოლოს და ბოლოს შევეჩვიე, ალღო ავუღე მის ტაქტიკას, ხოლო რომ წამოვიზარდე და წონაც მომემატა, ჩემი ფანდები

და ფიზიკური ძალაც დავუპირისპირე. ავთომ დიდი გავლენა იქონია ჩემი, როგორც მოჭიდავის ჩამოყალიბებაში.

წლების შემდეგ მივხვდი, რომ მასთან სპარინგებით სწრაფად ვიზრდებოდი. თავიდან ფიტულივით მიყენებდა, ყველა ილეთს მიტარებდა. უარს არც მე ვეუბნებოდი, პირიქით — მეამაყებოდა მასთან ერთად ვარჯიში. მოგვიანებით, როსტომ აბაშიძის წონის რომ შევიქენი, უკვე როსტომს ვეჭიდებოდი. მათგან იმდენი ილეთი შევითვისე, რომ უცხოეთში გამოცდილ ფალავნებსაც იოლად ვუმკლავდებოდი. მეღიმებოდა ხოლმე ვინმე მოგვერდს რომ დამიპირებდა, რადგან როსტომის მოგვერდზე გაზრდილ კაცს, რა უნდა გამჭირვებოდა?! როსტომ აბაშიძეს ისეთი მოგვერდი ჰქონდა, მსოფლიოში მსგავსს ვერ იპოვიდით. როგორც პელეა „ფეხბურთის მეფე“, ისე როსტომ აბაშიძეა „მოგვერდის მეფე“.

სხვათა შორის, ავთო ქორიძისგან ვისწავლე ერთი კონტრილეთი, გაზნექით გდებას რომ ვეძახით, იმის საწინააღმდეგო. ქორიძეს ეს ილეთი სხვებისგან სრულიად განსხვავებულად გამოსდიოდა. ჩვეულებრივ ამ ფანდს ჩეკეტილი ხელის მხარეს აკეთებენ, ავთო კი, მეტოქე რომ ფიქრობდა, უკვე დავხურე ეს ფანდიო, ბოლო მომენტში მეორე მხარეს ატრიალებდა ყველას. ქორიძე ამას უნაკლოდ ასრულებდა. არც ვარჯიშებზე და არც შეჯიბრებებზე მსგავსი რამ არ მინახავს. მასთან სპარინგებისას იმდენად დავხვეწე ეს მომენტი, რომ პრაქტიკულად არ ყოფილა შემთხვევა, ჩემთან ვინმეს გასვლოდა გაზნექით გდება.“

ოქრო პრეზიდენტისგან

ამბობენ, საკავშირო ჩემპიონატებში ავთანდილ ქორიძეს ბედი არ სწყალობდაო. მართლაც ასე იყო. შიდა ტურნირებში არასდროს არ გაუმარჯვია, არც საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადები მოუგია; პირველ სპარტაკიადაში მეოთხე ადგილი დაიკავა, ხოლო მომდევნოში — მეხუთე. სხვა იყო საერთაშორისო შეჯიბრებები — აქ ქორიძეს ბადალი არ ჰყავდა.

მსოფლიოს 1961 ჩემპიონატი იოკოჰამაში, ივნისის დასაწყისში ჩატარდა. იაპონიაში გამგზავრებამდე კარგა ხნით ადრე, სსრკ-ის ნაკრების კანდიდატების შესარჩევად, მოსკოვში სპეციალური ტურნირი მოაწყვეს, სადაც ავ-

ავთანდილ ქორიძე
და მისი დები —
ჯანიკო, მერი და ვალიდა



ავთანდილ ქორიძეს
შეჯიბრების წინ,
ხანგრძლივ საწვრთნელ
შეკრებებზე ყველაზე
მეტად ოჯახთან
განშორება უჭირდა.
თბილისში ხშირად
აგზავნიდა წერილებს,
თავადაც იღებდა

თანდილ ქორიძემ, დავით გვანცელაძემ და მერაბ ღუდუშაურმა გაიმარჯვეს. კლასიკური და თავისუფალი სტილით მოჭიდავეებისთვის დასკვნითი შეკრება ვლადივოსტოკში ჩატარდა. ხანგრძლივი მომზადებისა და საკონტროლო შეხვედრების შემდეგ გადაწყდა, რომ ტოკიოში ქართველთაგან ქორიძესთან და ღუდუშაურთან ერთად გაემგზავრებოდნენ თავისუფალი სტილის ფალავნები — ვლადიმერ რუბაშვილი და გურამ გობეჯიშვილი.

იოკოჰამა ტოკიოს გარეუბანია. იაპონიის კულტურის უძველეს კერას, ადგილობრივ უნივერსიტეტს, ძალზე კომფორტული ტანვარჯიშის დარბაზი ჰქონდა, სადაც სამი ათასი მაყურებელი ეტეოდა. სწორედ ეს არენა მასპინძლობდა პლანეტის საუკეთესო მოჭიდავეებს. მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული ჩვენებურთაგან პირველმა ვლადიმერ რუბაშვილმა მოიპოვა. ქართველმა ფალავანმა ადგილობრივ გულშემატკივრებზე დიდი შთაბეჭდილება დატოვა. ჭიდაობის ქომაგები ყველაზე მეტად მისმა შუაკაურმა მოხიბლა, როდესაც ფინალურ შეხვედრაში თურქი ი. ფეხლევანი ლამაზი ილეთით ჯერ ჩოქბჯენში გადაიყვანა, ხოლო შემდეგ ბეჭებზე დააწვინა. ვახტანგ ბალავაძისა და არსენ მეკოკიშვილის შემდეგ, ვლადიმერ რუბაშვილი მესამე ქართველი გახდა, ვინც ტოკიოდან ოქროს მედალი წამოიღო.

1961 წლის 6 ივნისს „კლასიკოსების“ ორთაბრძოლები დაიწყო. პირველ წრეში ავთანდილ ქორიძის მეტოქე იყო ინდონეზიელი ტალივონგსტონი, ხოლო ქვემსუბუქ წონაში მერაბ ღუდუშაური ჩეხოსლოვაკიელ ვ. ტოტს ხვდებოდა. დაიწყო თუ არა ქორიძის და ინდონეზიელის შეხვედრა, ქორიძემ პარტერში გადაიყვანა მეტოქე, შემდეგ აიტაცა, გადაატრიალა და რამდენიმე წამში სუფთა გამარჯვება მოიპოვა. წარმატებით აიღო სტარტი მერაბ ღუდუშაურმაც.

მერაბ ღუდუშაური: „ავთომ მართლაც ლამაზი გდებით მოიგო და გულშემატკივრების აპლოდისმენტებიც დაიმსახურა. მე მანამდე ვჭიდაობდი ჩეხოსლოვაკიელ ტოტთან. არც მას ჰქონდა დიდი ტიტულები, თუმცა რომის ოლიმპიადის მონაწილე იყო — მეექვსე-მეშვიდე ადგილები გაიყო, მე კი პირველად გამოვდიოდი ასეთი რანგის შეჯიბრებაზე.

პირველივე წუთზე ორი ქულა ავართვი, არც შემდეგ გამჭირვებია და, საბოლოოდ, სოლიდური უპირატესობით გავიმარჯვე. მეორე წრე უფრო რთული გამოდგა ჩემთვის. არაბი ჰამედ მუსტაფა კარგი მოჭიდავე იყო. ძირითადი დრო ისე მიილია, ვერც ერთმა ვერ მოვახერხეთ ილეთის ჩატარება. თანაბარი

ბრძოლა ამის შემდეგაც გაგრძელდა. პირველი ქულა არაბმა აიღო, მაგრამ მალევე მეც წამოვიკიდე ერთქულიან ფანდზე და საბოლოოდ ეს შეხვედრა ფრედ დამთავრდა.

მეორე წრეში ავთოს მეტოქე იყო გდრ-ის ჩემპიონი ფრანკე. იმ წლებში გერმანელები არაფრით არ გამოირჩეოდნენ. თავიანთ ქვეყანაში, კარლსრუეში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე მხოლოდ თითო ვერცხლი და ბრინჯაო აიღეს. არც ქორიძეს გასჭირვებია ფრანკეს დამარცხება. მართალია ქულებით, მაგრამ სრული უპირატესობით გაიმარჯვა. ასე რომ, ორი წრის შემდეგ მე სამი საჯარიმო ქულა დამიგროვდა, ხოლო ავთოს — ერთი. მორიგ წრეში მე უკვე მასპინძლეთა ფავორიტი მურანო მელოდა, რომელმაც ჩემამდე ცნობილი თურქი ფალავანი, ილმაზი დაამარცხა. ძლიერი მეტოქე ჰყავდა ავთანდილ ქორიძესაც — იუგოსლავიელი ბრანკო მარტინოვიჩი, სწორედ ის, რომის ოლიმპიურ თამაშებზე ფინალურ სამეულში ავთოსთან ერთად რომ შევიდა და საბოლოოდ ოლიმპიური მედალიც მოიპოვა.“

* * *

იოკოჰამის მსოფლიოს ჩემპიონატზე, ისევე როგორც რომის ოლიმპიადაზე, ავთანდილ ქორიძე პირადი მწვრთნელის, პეტრე იორდანიშვილის გარეშე გამოდიოდა. იგი არც ვლადივოსტოკის დასკვნით საწვრთნელ შეკრებაზე ახლდა. მაშინ ქართველებს ასეთი ფუფუნების საშუალება არ ჰქონდათ. მართალია, ვახტანგ ბალავაძე, საბჭოთა ნაკრების ერთ-ერთი მწვრთნელი, თანამემამულეებს ყურადღებას არ მოაკლებდა, მაგრამ იგი ძირითადად თავისუფალი სტილის მოჭიდავეებით იყო დაკავებული, ამიტომ იორდანიშვილი, ჯერ კიდევ იაპონიაში გამგზავრებამდე, ხშირი მიმოწერით ცდილობდა კონტაქტი არ გაეწყვიტა ქორიძესთან და რჩევა-დარიგებებსაც აძლევდა შორეულ აღმოსავლეთში მყოფ შეგირდს. მის შესაძლებლობებში ეჭვი არ ეპარებოდა, თუმცა შემთხვევითობას მაინც უფრთხოდა.

„ავთო, ძალიან გთხოვ, თავს გაუფრთხილდი, არ გაცივდე, — წერდა ერთ-ერთ წერილში პეტრე იორდანიშვილი ავთანდილ ქორიძეს, — დილის ვარჯიშებზე თბილად ჩაიცვი, თავზეც დაიხურე. რაც მთავარია, ნუ ინერვიულებ და იაპონიაზე ნუ ფიქრობ, შრომა არასდროს არ იკარგება.

ავთანდილ ქორიძე, ფავრიზ გველესიანი, როსტომ აბაშიძე და ჯუმბერ დავლიანიძე

მომიკითხე როსტომ აბაშიძე და მერაბ ღუდუშაური. კარგად ივარჯიშეთ, ძალებს ნუ დაზოგავთ. ყველას წარმატებას და უკეთეს შედეგებს გისურვებთ, ვიდრე რომის ოლიმპიადაზე, მეტი ოქროს მედლები მოგეპოვებინოთ. მართალია ძნელია, მაგრამ ვიცი, თქვენ ეს შეგიძლიათ, ჩვენ კი პრესას მივადევნებთ თვალს და ვიმედოვნებთ, რომ „კლასიკოსები“ მედლებთან ერთად გუნდურ პირველობასაც დაისაკუთრებთ.

ცალკე წერილს გავუგზავნი საბჭოთა ნაკრების მწვრთნელებსაც და ჩემს რეკომენდაციებს იმათაც მოვახსენებ.

არ გაცივდე, მალე კიდევ მოგწერ.“

***

იაპონიაში ძალზე პოპულარულია ჭიდაობის სხვადასხვა სახეობები. იაპონელებს თავისუფალ ჭიდაობაში იმ პერიოდისათვის ოლიმპიური ჩემპიონებიც ჰყავდათ და პრიზიორებიც, მაგრამ იოკოჰამის მსოფლიოს ჩემპიონატზე მათ მხოლოდ ერთი ბრინჯაოს ჯილდო ერგოთ და ახლა კლასიკური სტილის მოჭიდავეების იმედად იყვნენ. მესამე წრეში მერაბ ღუდუშაური სწორედ იაპონელთა ფავორიტს მურანოს შეხვდა და ქულებით მოუგო. ღუდუშაურს ოთხი

საჯარიმო დაუგროვდა, ხოლო მურანოს სატურნირო მდგომარეობა იმდენად გაურთულდა, რომ საბოლოოდ მეხუთე ადგილზე აღმოჩნდა.

იუგოსლავიელ ბრანკო მარტინოვიჩთან მეტად პრინციპული შეხვედრა ჰქონდა ავთანდილ ქორიძესაც. მათ ერთმანეთი რომის ოლიმპიური თამაშებიდან ახსოვდათ, მანამდე ბრანკოს სამშობლოში იჭიდავეს და მაშინ ქართველმა მოიგო. ქორიძე ამჯერადაც მოწოდების სიმაღლეზე იყო, მთელი შეხვედრის განმავლობაში აქტიურობდა და ქულებით გაიმარჯვა კიდეც.

ფინალის წინ ორი საჯამირო ქულა საკმაოდ კარგი შედეგი იყო. ამდენივე ქულა (ოღონდ ორი შეხვედრის შემდეგ) ჰქონდა მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულის კიდევ ერთ პრეტენდენტს, ამერიკელ ბენ ნორტრუპს. თავისი მესამე ოქროს მედლისკენ მიიწევდა უნგრელი იმრე პოიაკიც.

მერაბ ღუდუშაური: „მეოთხე წრეში ქორიძე ისვენებდა და სულის მოთქმის საშუალებაც მიეცა. მე მომდევნო შეხვედრები ჭიდაობის ძლიერი სკოლის წარმომადგენლებთან, ირანელ შლინიაკხანთან და თურქ ილმაზთან მელოდა. განსაკუთრებით კარგი ფალავნები ჰყავდათ თურქებს, ისინი მსოფლიოს ჩემპიონატებზეც და ოლიმპიურ თამაშებზეც გუნდურ პირველობას მხოლოდ საბჭოთა ნაკრებს უთმობდნენ. სხვათა შორის, იოკოჰამაშიც იგივე განმეორდა. ჩვენმა ბიჭებმა ხუთი ოქროს მედალი მოიპოვეს, თურქებს კი ამდენივე საპრიზო ადგილი ერგოთ.

მე ნეკნი დავიზიანე და კვარცხლბეკზე ასვლა ვერ შევძელი. მეოთხე წრეში შლინიაკხანის ქულებით კი მოვუგე, მაგრამ უკვე ხუთი საჯარიმო ქულა დამიგროვდა. მაშინ ისეთი წესები იყო, რომ შეიძლებოდა კაცს არც ერთი შეხვედრა არ წაეგო, მაგრამ უძლიერესთა სამეულში მაინც ვერ მოხვედრილიყო. პირიქითაც ხდებოდა, მაგალითად, ჩვენმა სახელოვანმა ფალავნებმა დავით ციმაკურიძემ და გივი კარტოზიამ მარცხით დაიწყეს ოლიმპიადაზე გამოსვლა, თუმცა შემდეგ ყველა შეხვედრაში იმარჯვეს და ჩემპიონებიც გახდნენ. იაპონიაში ერთადერთი შეხვედრა ვერ მოვიგე, მაგრამ მაინც მეოთხე ადგილზე აღმოვჩნდი.

ბოლო შეხვედრა თურქ ილმაზთან მქონდა, რომელთანაც წმინდა გამარჯვება მჭირდებოდა. იძულებული ვიყავი გამერისკა. ბრძოლის აზარტში ჩართულმა, თურქის უხეშობას ყურადღება ვერ მივაქციე, ძლიერად დამეჯახა და ნეკნი გამიტეხა. მსოფლიოს ჩემპიონატზე ასპარეზობის საშუალება ერთადერთხელ მომეცა და ისიც ასე დასრულდა.“

ავთანდილ ქორიძეს დასკვნითი შეხვედრა ამერიკელ ბენ ნორტრუპთან ჰქონდა. რომის ოლიმპიურ თამაშებზე ქორიძემ ერთხელ უკვე დაამარცხა იგი. არც ახლა გასჭირვებია — პირველიდან ბოლო წუთამდე ფლობდა უპირატესობას, დამაჯერებლად გაიმარჯვა და ღირსეულად მოიპოვა მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული. ქორიძეს ოქროს მედალი ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა როჟე კულონმა თავად გადასცა.

ორი დეპეშა

იოკოჰამის მსოფლიოს ჩემპიონატიდან ჩვენმა მოჭიდავეებმა ოქროს ორი მედალი ჩამოიტანეს. შინ დაბრუნებულები, ვლადიმერ რუბაშვილი და ავთანდილ ქორიძე, სხვა ქართველ ფალავნებთან ერთად საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვასილ მჟავანაძემ მიიღო. მან ჩემპიონებს გამარჯვება მიულოცა, მკლავის ძალა შეუქო და ბოლოს მოჭიდავეების პირადი პრობლემებითაც დაინტერესდა. ზოგმა ბინა სთხოვა, ზოგმა — ავტომანქანა და სააგარაკო მიწის ნაკვეთი. ავთანდილ ქორიძემ მადლობა გადაუხადა მასპინძელს და მორიდებით გამოვიდა კაბინეტიდან.

იმხანად ქორიძეების ოჯახი — მშობლები, ავთო და მისი სამი და — კლარა ცეტკინის (ახლანდელი წინამძღვრიშვილის) ქუჩაზე ცხვრობდა16 მ2 ერთოთახიან ბინაში. მსოფლიოს ჩემპიონს მაგიდის ქვეშ „ლეჟანკაზე“ ეძინა, ხოლო სესიების პერიოდში, სამეცადინეოდ სახლის სახურავზე ადიოდა, ხელი რომ არავის შეეშალა.

ეს ყველაფერი კარგად იცოდა გივი კარტოზიამ, რომელიც შებრუნდა მჟავანაძის კაბინეტში და ავთო ქორიძის ოჯახის გასაჭირზე პირადად მოახსენა ცეკას პირველ მდივანს. იმ მომენტში საქალაქო ფონდში თავისუფალი ბინა არ ჰქონიათ, ამიტომაც ქორიძეს დროებით ორი ოთახი გამოუყვეს, ოღონდ ჯერ საბუთების შეგროვება მოსთხოვეს, რასაც საკმაო დრო და სირბილი დასჭირდა.

არადა, ახლოვდებოდა 1962 წლის მსოფლიოს ჩემპიონატი. საბჭოთა ნაკრები ბოლო საწვრთნელ შეკრებას ალუშტაში გადიოდა. როსტომ აბაშიძე უკვე იქ იყო, ავთანდილ ქორიძე კი ბინის მისაღებად საჭირო საბუთებს აგროვებდა და წასვლა უგვიანდებოდა. მოსკოვში დეპეშა გააგზავნა, ჭიდაობის სამმარ-

თველოს უფროსს, არკადი ლენცს მიზეზი შეატყობინა და კიდევ ორი კვირა სთხოვა, თანხმობაც მიიღო, მაგრამ ნაკრების ხელმძღვანელობას თბილისიდან სხვა დეპეშაც გაუგზავნეს — ბინა არაფერ შუაშია, ავთო არ ვარჯიშობს და ლოთობსო.

ქალაქში ჭორი უკვე დადიოდა. ერთხელ დასთან ერთად ტროლეიბუსით მგზავრობდა. ძველ კინოსტუდიასთან ახალგაზრდები ამოვიდნენ და ხმამაღლა ყვებოდნენ, ეს წუთია ავთანდილ ქორიძე გატრეტილი მთვრალი ვნახეთ, ქუჩაში იწვაო. ხალხს როგორ უყვარს, ის კი ლოთობსო. ავთო მშვიდად იჯდა სავარძელში და ხმას არ იღებდა. მერე იმ ახალგაზრდებს მოჭიდავის დამტვრეული ყურებისთვის მიუქცევიათ ყურადღება, უცნიათ სახელოვანი ფალავანი, თვალი აურიდებიათ და პირველივე გაჩერებაზე სასწრაფოდ ჩამომხტარან ტროლეიბუსიდან.

მეორე დეპეშამ თავისი საქმე მაინც გააკეთა — ნაკრების წევრებმა საგანგებოდ ითათბირეს და გუნდიდან ქორიძის გარიცხვაზე შეთანხმდნენ. ისევ მეგობრების დასაცავი შეიქნა. როსტომ აბაშიძემ გააპროტესტა საკავშირო ნაკრების წევრთა გადაწყვეტილება: დაველოდოთ ავთოს, ჩამოვა და თავად აგვიხსნის დაგვიანების მიზეზსო. თურმე, ივან კორშუნოვმაც დაუჭირა მხარი. მიუხედავად იმისა, რომ მინსკელი მოჭიდავე ქორიძის წონაში გამოდიოდა და კონკურენტები იყვნენ.

ქორიძე საკმაო დაგვიანებით ჩავიდა შეკრებაზე, თუმცა ჩვეულ სპორტულ ფორმაში შესვლაც მოასწრო და საკონტროლო შეხვედრებიც ყველას მოუგო. ნაკრების ხელმძღვანელებმა მაინც დასაჯეს, ამერიკულ ტოლიდოში მოსკოველი ვლადიმირ როსინი გაუშვეს, რომელმაც მსოფლიოს ჩემპიონატზე მხოლოდ მეოთხე ადგილი დაიკავა.

„ოლიმპიური“ აგური

ახლა დანამდვილებით ვერავინ ამბობს, ავთანდილ ქორიძემ ასე ადრე, 27 წლისამ რატომ დაანება ჭიდაობას თავი, თუმცა როგორც ოჯახის წევრები იხსენებენ, ავთო გულგატეხილი ყოფილა. არადა, ხალიჩაზე გამოსვლა კიდევ შეეძლო და ალბათ წარმატებებსაც არაერთხელ მიაღწევდა. ზოგი თვლიდა, რომ

რაკი ოლიმპიური თამაშების შემდეგ წონითი კატეგორიები შეიცვალა, ახალ წონაში ქორიძეს ჭიდაობა გაუჭირდებოდაო. იყვნენ ისეთებიც, ამ აზრს რომ არ იზიარებდნენ. მოგვიანებით, სპორტსაზოგადოება „დინამოს“ საკავშირო ნაკრების გაწვრთნა შესთავაზეს, ჩეხოსლოვაკიაშიც იწვევდნენ. მეუღლეც თხოვდა, ერთად წავიდეთ, ნორმალური სამსახური და ბინა გვექნება, კარიერასაც აიწყობო. არ დათანხმდა, „პეტრეს დარბაზში“ მივიდა და ახალბედა მოჭიდავეების ჯგუფი აიყვანა. ყველაფერს ბავშვებთან ურთიერთობა ამჯობინა.

მერაბ ღუდუშაური: „რომის ოლიმპიადის შემდეგ მსუბუქი წონითი კატეგორიის ფალავნებისთვის 67-ის ნაცვლად 70 კილოგრამი დაწესდა. ავთოსთვის ეს უფრო ხელსაყრელი იყო, რადგან წონის დაკლება აღარ დასჭირდებოდა. ამდენად, არა მგონია, მისი წასვლის მიზეზი ეს ყოფილიყო. შესაძლოა, იგი უბრალოდ გადაიღალა. მიუხედავად იმისა, რომ ბავშვობიდან ჭიდაობას შეჩვეულები ვიყავით და ლამის დარბაზში ვიზრდებოდით, იქაურობა ზოგჯერ აუტანელი ხდებოდა. გაუთავებელი ვარჯიშები, ოფლის სუნი, დახუთული დარბაზი, ყველაფერი ეს გბეზრდება კაცს. ჩვენ ხომ ისეთი პირობები არ გვქონდა, როგორიც დღეს აქვთ სპორტსმენებს და კონკრეტულად მოჭიდავეებს. ერთადერთ შეღავათს ინსტიტუტში სესიებზე, გამოცდების ჩაბარების დროს გვაძლევდნენ. თავისუფალი გრაფიკი გვქონდა, მაგრამ ავთო არც სწავლაში ზოგავდა თავს, კონსპექტები და წიგნები შეკრებებზე მოჰქონდა და იქ თავისუფალ დროს მეცადინეობდა. ერთხელ პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ლექტორს უთქვამს, რომის ოლიმპიადის ამბები მომიყევი და ნიშანს დაგიწერო. ავთო გაბრაზებულა — ნაჩუქარი ნიშანი არ მჭირდებაო. ქორიძე ცხოვრებაშიც და ხალიჩაზეც ბოლომდე იხარჯებოდა და შეიძლება ერთხელაც ყელში ამოგივიდეს კაცს ყველაფერი. აღარ გინდა ამ ჭუჭყიან ლეიბზე შესვლა, აღარც დარბაზისკენ გახედვა გინდა. მოტრიალდები და წამოხვალ.

რამდენიმე თვე მაინც უნდა გავიდეს, რომ ისევ ლეიბზე გასვლის, ვარჯიშის და ჭიდაობის სურვილი დაგიბრუნდეს. მაგრამ თანდათან ესეც ძნელი ხდება. ოჯახიც თავისას მოითხოვს, ბავშვებიც, სამსახურსაც ძველებურად ვეღარ გააცდენ. ავთო საქმეს სანახევროდ არასდროს არ აკეთებდა. ავჭალის აგურის ქარხანაში, ცვლის უფროსად რომ დაიწყო მუშაობა, წარმოებაში თავისი ახალი მეთოდი დანერგა და ქარხანამაც გეგმის შესრულება შესძლო. თანამშრომლებიც პატივს სცემდნენ და ავტორიტეტითაც სარგებლობდა.“

რობერტ შავლაყაძე: „ავთანდილ ქორიძე რომის ოლიმპიურ თამაშებზე გავიცანი, ოლიმპიურ სოფელში ვხვდებოდით ხოლმე ერთმანეთს, ძალიან სასიამოვნო ადამიანი იყო. მიუხედავად იმისა, რომ მასზე სულ ორი წლით უფროსი ვიყავი, ჩემთან მაინც მორიდებული ურთიერთობა ჰქონდა. მე პირველ სექტემბერს გავხდი ოლიმპიური ჩემპიონი, მან კი ერთი დღით ადრე დაასრულა ტურნირი. ძალიან გაუხარდა ჩემი გამარჯვება, გულით მომილოცა. მართლაც არავინ არ ელოდა, თუ მსოფლიოს რეკორდსმენს, ამერიკელ ჯონ თომასს მოვუგებდი. საბჭოთა კავშირის რეკორდსმენს, ვალერი ბრუმელსაც ვაჯობე. იტალიაში ქართველ სპორტსმენებს ბევრი გულშემატკივარი გვყავდა, თითქოს საქართველოში ვიყავით. როგორც ავთოს ქომაგობდნენ საჭიდაო ხალიჩაზე, მაყურებლები მეც მეხმარებოდნენ რომის ოლიმპიურ სტადიონზე გამოსვლის დროს. მე რომ ვხტებოდი, ბუზის გაფრენის ხმას გაიგებდით, ხოლო ოქროს მედალი რომ მოვიპოვე, ქუჩაში ყველა მცნობდა და გაუთავებლად ავტოგრაფს მთხოვდნენ.

არც ქორიძეს აკლდა პოპულარობა, თავად იყო ბუნებით თბილი ადამიანი. ერთხელ სამშენებლო მასალა დამჭირდა, არც ვიცოდი, თუ ავთო აგურის ქარხანაში მუშაობდა. წავედი ავჭალაში, შემთხვევით შემხვდა ეზოში. ჩემი მისვლის მიზეზი რომ გაიგო, მასალა თავად ჩამიტვირთა მანქანაში. ხელი არ გამანძრევინა, არც ფული გადამახდევინა.

საოცარი პიროვნება იყო, დიდი ბუნების, დიდი სპორტსმენი.“

***

ავთანდილ ქორიძეს შეჯიბრების წინ, ხანგრძლივ საწვრთნელ შეკრებებზე ყველაზე მეტად ოჯახთან განშორება უჭირდა. თბილისში ხშირად აგზავნიდა წერილებს, თავადაც იღებდა. რომის ოლიმპიადისათვის პოდოლსკში ორმაგი დატვირთვით ემზადებოდნენ. როგორც ყოველთვის, თავს არც ამჯერად ზოგავდა, ბოლომდე იხარჯებოდა. ვარჯიშებიდან დაქანცული ბრუნდებოდა. ამის მიუხედავად, მშობლებთან და დებთან კონტაქტს არ წყვეტდა. გამორჩეულად ენატრებოდა დისშვილი, პატარა გულიკო. იტალიაში გამგზავრებამდე რამდენიმე დღით ადრეც გამოაგზავნა წერილი თბილისში: „სალამი მამა, ჯანიკო და გულიკო! 3 და 4 აგვისტოს საკონტროლო შეხვედრები გვქონდა, ეს

გადაწყვეტდა ვინ უნდა წასულიყო იტალიაში. პირადად მე კარგად ჩავატარე ყველა შეხვედრა ჩემს მოწინააღმდეგეებთან და დამაჯერებლად მოვიგე. დამაყენეს გუნდში, ე.ი. მივდივარ. საქართველოდან კლასიკურ ჭიდაობაში მე და გივი კარტოზია ვართ, როსტომ აბაშიძე სათადარიგოდ მოდის, გივის ან მძიმე წონის მოჭიდავეს რამე რომ ეტკინოს.

კარგად იჭიდავეს ღუდუშაურმა და გვანცელაძემ, მაგრამ ნაკრებში ვერ მოხვდნენ. ყველაფერი ნორმალურად არის, მთავარია ტრავმა არ მივიღო, კარგ სპორტულ ფორმაში ვარ.

მივიღე თქვენგან ორჯერ გამოგზავნილი ფული. ვიყიდე სპორტული ფეხსაცმელი, ჩანთა და აუარებელი წვრილმანი. ისე, რომ ფული ცოტა დამრჩა. საყიდელი მაქვს: ჩემოდანი, თეთრი პერანგები, წინდები და კიდევ რა ვიცი, იმდენი რამეები ჩამოგვითვალეს.

იტალიაში 15 აგვისტოს მივდივართ. მანამდე დეპეშით გამომიგზავნეთ ფული, თორემ ძალიან გამიჭირდება. სპეციალურ ფორმას გვიკერავენ, ორ შარვალსა და პიჯაკს. უკვე ვიყავი მოსარგებად, ერთი თეთრია, მეორე — ლურჯი. სულ არის 3700 მანეთის, თავისი სპორტული ფორმით. ე.ი. გრიგორი სტეპანიჩ (ავთანდილ ქორიძის მამა —გ. ფ.), „კასტუმებში“ იცურავებ წელს. ჩვენ ხომ „აბმენ ტავარები“ ვართ ერთმანეთში.

მოკლედ ასე, არ ინერვიულო, რომ იცი, ზედმეტი გაგიჟება არ გინდა. ვნახოთ რა იქნება რომში. კარგად იყავით, გისურვებთ ბედნიერებას და ჯანმრთელობას. მოკითხვა ხალხს.

P.S. გულიკო, გახსოვს რომ დამპირდი, წერილს გამოგიგზავნიო. რატომ არ მომწერე, დაგავიწყდა ავთო ბიძია? კარგი, არც მე ჩამოგიტან რამეს. შენ ალბათ ისე ხარ გართული თამაშით, რომ არც კი გახსოვარ. ბაბუას დაუჯერე და არ გააბრაზო. ავთო. 5/VIII-60.“

დაუმარცხებელი

ავთანდილ ქორიძეს მხოლოდ ორჯერ მიეცა დიდი ტიტულის მოპოვების შანსი და ორივეჯერ მიაღწია მიზანს, თანაც ისე, რომ შეხვედრა არ წაუგია. რომის ოლიმპიურ თამაშებზეც და იოკოჰამის მსოფლიოს ჩემპიონატზეც მან

პეტრე იორდანიშვილი
და ავთანდილ ქორიძე.
1960 წელი

მხოლოდ ერთი შეხვედრა დაასრულა ფრედ ფინელთა ოლიმპიურ ჩემპიონ, კიოესტი ლეჰტონენთან, დანარჩენებში კი დამაჯერებლად იმარჯვა. ასეთი შედეგი მსოფლიოს უდიდეს ფალავნებსაც იშვიათად თუ ჰქონიათ.

გურამ საღარაძე (მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი): „ავთანდილ ქორიძე პრაქტიკულად დაუმარცხებელი წავიდა ხალიჩიდან, მან გამარჯვებულმა დატოვა სარბიელი. ფიზიკურად ძალიან ძლიერი, დაუღალავი და ტექნიკური მოჭიდავე იყო. არასდროს არ პასიურობდა, სულ შეტევაზე გადადიოდა. ქართველებს ბევრი შესანიშნავი ფალავანი გვყავდა, თუმცა ის მაინც გამორჩეული იყო. მისი ტრაგიკულად დაღუპვა მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ჰგავდა, ყველას გული ჩაგვწყდა.

მეც „პეტრეს დარბაზში“ გავიცანი. ჩემზე უფროსი იყო, ბუნებითაც და გარეგნობითაც სანდომიანი. თბილად მიმიღო ახალბედა, რამდენიმე ილეთი ამიხ-

მარჯვნიდან — ავთანდილ ქორიძე, კონსტანტინე ვირუპაევი და ოლეგ კარავაევი. მოსკოვი, 1960 წელი

სნა. ლეიბზე ყოველთვის რაინდულად ეჭირა თავი, მეტოქეებს პატივს სცემდა, არ უხეშობდა. სუფლექსები და ნახევარსუფლექსები ჰქონდა დახვეწილი, მისი შერკინება ლამაზი სანახაობა იყო. ავთოს საყურებლად სპეციალურად დადიოდნენ გულშემატკივრები. სხვათა შორის, იმ პერიოდში ქორიძეს, კარტოზიას თუ სხვებს მანდილოსნებიც ქომაგობდნენ. მართალია, კალათბურთელებს რომ ჰყავდათ თაყვანისმცემლები, ჩვენ ასეთი პოპულარულები არ ვიყავით, მაგრამ ტაშს ჩვენც გვიკრავდნენ. პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, სადაც ერთად ვსწავლობდით მე და ავთო, ბევრს უნდოდა მასთან მეგობრობა, თუმცა ის ძალიან მორიდებული, მორცხვი იყო. ოლიმპიური და მსოფლიოს ჩემპიონი რომ გახდა, ქედმაღლობა არ დაუწყია და ლექციებზე ჩვეულებრივად დადიოდა.

ვერ ვიტყვი, რომ მოდის აყოლას ახერხებდა, მაგრამ ყოველთვის გემოვნებით ეცვა, გამორჩეულად თეთრი მაისურები მოსწონდა. მეც და სხვებსაც

გვსიამოვნებდა ავთოსთან ურთიერთობა. რაღაცნაირი აურა ჰქონდა, მადლიანი კაცი იყო. გაბრაზებული არასდროს არ მინახავს, კარგად ნასვამიც წყნარი სიოსავით იყო. ღვინო ქართული უყვარდა, თუმცა იშვიათად რომ დათრობამდე მიეყვანა საქმე, სირცხვილად მიაჩნდა. ჩვენებური სუფრის ადათ-წესებს სცემდა პატივს.“

საბედისწერო მოსახვევი

იმ ღამეს ქუთაისში წვრილად ცრიდა, მოლიპულ გზაზე ავტომანქანებით მოძრაობა სახიფათო იყო. მეგობრებმა დარჩენა ურჩიეს, გამოიძინეთ და დილით წადითო.

შუაღამე გადასულიყო

მოჭიდავეებმა ყოველთვის განსაკუთრებული მეგობრობა იცოდნენ, ჭირში თუ ლხინში ერთმანეთს მხარში ედგნენ. საძმოს არც ავთანდილ ქორიძე არ დააკლდებოდა. მაშინაც, თანაგუნდელის ნათესავის გარდაცვალება თავის სატკივარად მიიღო, ავტომანქანა ითხოვა და დასავლეთისკენ წავიდა.

ჭირის სუფრა გვიანობამდე გაგრძელდა. მეგობარსაც და ოჯახსაც ბოლომდე სცეს პატივი ავთანდილ ქორიძემ და რომან ძნელაძემ. თბილისში ერთად წამოვიდნენ, გზად ქუთაისში შეიარეს. მასპინძლებმა რიონისპირელთა შესაფერისად მიიღეს, თითო დოქი იქაც დაიცალა. თითქოს დარჩენაზე დაიყოლიეს, მანქანის გასაღებიც გამოართვეს. მაგრამ შემდეგ გადაიფიქრა, ძნელაძე გააღვიძა და საჭეს მიუჯდა. აღდგომის წინა პარასკევი თენდებოდა, წითელი პარასკევი. სხვათა შორის, ავთანდილი ძველი სტილით აღდგომა დღეს დაიბადა, 1935 წლის 15 აპრილს.

ქუთაისიდან გამოვიდნენ თუ არა, მდინარე ჭიშურასთან, ზედ ხიდთან სველ ასფალტზე მანქანა მოცურდა, ამოტრიალდა და პატარა ხრამში პირქვე ჩაემხო. რომან ძნელაძეს უკანა სავარძელზე ეძინა. რესტორნის სახურავზე დამაგრებული პროჟექტორის სხივები სწორედ იმ მოსახვევში ბრჭყვიალებდნენ, სადაც ტრაგედია დატრიალდა. რესტორანში შეგვიანებული გეოლოგები კიდევ აგრძელებდნენ ლხინს, მაგრამ არაფერი არ გაუგიათ. 1966 წლის 11 აპრილი ჯერ არ გათენებულიყო და მომხდარის შესახებ არც არავინ აცოდა

როცა გაიგეს, მთელი საქართველო ფეხზე დადგა. საქართველომ ერთბაშად ორი დიდი მოჭიდავე და პიროვნება დაკარგა. ავთანდილ ქორიძეს ორი შვილი დარჩა — ბესიკი მხოლოდ სამი წლის იყო, ირინა კი სულაც რამდენიმე თვის.

შესაძლოა, ავთანდილ ქორიძის ბედ-იღბალთან იმ სააღდგომო დღეების გადაკვეთა ჩვეულებრივი შემთხვევითობაა, მაგრამ ასეთი რამ კიდევ ერთხელ, დიდი ხნის შემდეგაც განმეორდა.

2008 წლის 27 აპრილს საქართველოს სპორტული დიდების მუზეუმი გაქურდეს. ქართველებისთვის მეტად ღირებულ რელიქვიათა შორის, ავთანდილ ქორიძის რომის ოლიმპიური ოქროს მედალიც დაიკარგა. უცნაური დამთხვევაა — ეს ამბავი აღდგომა დღეს მოხდა.

ბევრმა არ იცის, რომ ყველაზე პრესტიჟულ ოლიმპიურ ჯილდოს სიმბოლურად ჰქვია „ოქროს მედალი“. სინამდვილეში 925-1000 სინჯის ვერცხლია და მხოლოდ 6 გრამით არის მოოქროვილი. ოლიმპიურ მედალს სულ სხვა — ისტორიული ღირებულება აქვს და, სამწუხაროდ, ზოგიერთი არც ამას უფიქრდება.

სიცოცხლე გაგრძელდა, ბავშვებიც გაიზარდნენ, ირინა უკვე აბიტურიენტი იყო. მისაღები გამოცდების წინ რეპეტიტორთან ემზადებოდა. კარგი პედაგოგი შეხვდა, მაღალი ნიშნის მიღების იმედიც მისცა. ბოლო გაკვეთილზე გასამრჯელო რომ მიუტანა, მასწავლებელმა ჰკითხა:

— სადაური ქორიძე ხარ, ვისი შვილი ხარ?

— ავთანდილ ქორიძის,— უპასუხა ირინამ.

ფული აღარ გამოართვა, მამაშენის შვილს ასე ეკუთვნისო.

ავთანდილ ქორიძე

დაიბადა 1935 წლის 15 აპრილს თბილისში. ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავე (67 კგ). რომის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი (1960), მსოფლიოს ჩემპიონი (1961), სსრკ ჩემპიონატის ორგზის მეორე (1957, 60) და მესამე (1958) პრიზიორი, „ადრიატიკის“ თასის მფლობელი (1959). სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი.
1966 წლის 11 აპრილს დაიღუპა ავტოკატასტროფაში ოლიმპიური თამაშების მესამე პრიზიორ რომან ძნელაძესთან ერთად.

AVTANDIL KORIDZE

Greco-Roman wrestler (67 kg), was born on April 15, 1935 in Tbilisi. He was a champion of XVII Olympic Games (1960, Rome), world champion (1961), silver (1957, 1960) and bronze (1958) medalist of the USSR championships, winner of “Adriatic Cup” (1959) and Honored Master of Sports of the USSR.
Koridze died in car crash on April 11, 1966 together with the bronze medalist of the Olympic Games Roman Dzneladze.